საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია!

საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

F-293/2 №12952

პარასკევი 3 იანვარი 1919 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

განცხადების ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ფასად 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საქმიანი განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ სტატიებს რედაქცია არ ინახავს; ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შეიძლება აგზავნონ ამგვარ მისამართზე: თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში მიიღებიან მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24

ტელეფონი 16—62.

№ 2 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 2

პირველი ქვეითა ბატალიონი სახალხო გვარდიისა ამით აცხადებს, რომ 19 დეკემბერს, ეკატერინენფელდში, სომხებთან შეტაკების დროს გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე ამავე ბატალიონის ოფიცრები:

**ილარიონ გოლქვაძე, შალიკო კროხი და შემდეგი გვარდიელები: გიორგი ცინცაძე, იპოლიტე თავართქილაძე, არსენ კროხი (შალიკოს ძმა), ნიკოლოზ მაკაროვი, კალისტრატე ტალახაძე, სიმონ გადუაშვილი და სტეფანე გრიგოროვი,**

რომლებიც წასვენებულ იქნენ თავიანთ სამშობლოში.

---

ხაშურის სახალხო გვარდიის შტაბი გულდაწყვეტილი აცნობებს ამხანაგებს, რომ 25, 26 დეკემბერს მტრის წინააღმდეგ მამაცურ შეტევის დროს შულავერთან გმირულად დაეცნენ ხაშურის გვარდიელი ამხანაგები:

**მეტრეველი ლეონტი ალექსანდრეს ძე, სირაძე ალექსანდრე თადეოზის ძე, ჯანტლიაშვილი კონსტანტინე, ცქიტიშვილი იაშა, მშვიდობაძე ივანე, წეკელიძე ივანე, აბაიაძე ნიკალა, ჩაფრაძე ვლადიმერ (ლადო), ლომიძე სერგო, ჩუბინიძე არჩილი, ქურტანიძე პავლე, დარსაველიძე სანდრო, შერმაზანაშვილი ვარლამი, ლომიძე თადეოზი, ავალიანი მეთოდე, ტყემალაძე ივანე, ხიმონიშვილი სტეფანე და ნიბაძე ივანე**

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

ხაშურის კომიტეტი საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტიისა გულმოკლული აუწყებს ამხანაგებს, რომ შულავერთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ პარტიის ძველი თავდადებული მუშაკები, კომიტეტის წევრები, ამხანაგები:

**ლეონტი მეტრეველი და ალექსანდრე სირაძე**

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

გაუბედურებული დედა ბარბალე, ძმები: ერმილე, ნიკო, ივანე, კალენიკე და ბენიამენ, დები: ფედოსია, ზინა და ნინა, რძლები: ნინა, ნინუცა და პელია დეუმბაძნეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 5 იანვარს, ს. ლესაში (გურია) გარდახდილი იქნება საყვარელი

**ანეტა ჭყონიას**

ხსოვნის აღსანიშნავად ორმოცი დღის თავზე წირვა და პანაშვიდი.

---

დამწუხრებული მეუღლე იპოლიტე, სიმამრი ნიტიფო, მაზლი მიტრიდატე, რძალი ნინა, შვილები ტასო და ტუშულა ჭყონიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 5 იანვარს ს. ლესაში (გურია) გადახდილი იქნება ძვირფასი

**ანეტას**

ხსოვნის აღსანიშნავად ორმოცი დღის თავზე წირვა და პანაშვიდი.

---

ხაშურის ქალაქის თვითმართველობა ღრმესი გულისტკივილით აუწყებს ამხანაგებს, რომ მუხანათ მტერთან მამაცურ ბრძოლაში შულავერთან გმირულად დაეცნენ ხაშურის ქალაქის საბჭოს ხმოსნები, ამხანაგები:

**ლეონტი მეტრეველი და ალექსანდრე სირაძე**

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

მწუხარებით გულმოკლულნი დედ მამა გიორგი და ოლღა, ძმა ვლადიმერი და დაი ელენე გაგაევები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ შაბათს 4 იანვარს დილის 10 საათზე ბორჯომში ადგილობრივ სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფასი

**შალვა გიორგის ძე გაგაევას**

სულის მოსახსენებლად.

---

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ერისტო მიხეილის ძე მაჩიტაძე, შვილები: კონსტანტინე, ნიკოლოზ, ვერიჩკა და ელისე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 4 იანვარს (ახალი სტილით) ქ. სამტრედიაში, მაცხოვრის ეკლესიაში დილის 10 საათზე გადახდილი იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი

**მელანია (გულქ ნა) ერმილე ახოვაძის ასულის მაჩიტაძის**

სულის მოსახსენებლად.

---

გულდამწვარი დედა ციბული, მამა მღ. ილარიონ ანდრიას ძე მგალობლიშვილები, ძმები: ნიკიტა და გრიშა, დები: ვენერა და მავრა, ბიძები ილია და სარდიონ მეუღლით და შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სომხების წინააღმდეგ ბრძოლის დროს გმირულად დაცემულ საყვარელ შტაბსკაპიტან

**პალადი ილარიონის ძე მგალობლიშვილის**

დასაფლავების დღე დანიშნულია 4 იანვარს დილით შაბათს (ახ. სტ.) ს. გუთურის (გურიაში) წმ. გიორგის ეკლესიაში.

---

ქ. ზესტაფონის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს დაუღალავ მებრძოლი

**ვენე ნიკურაძის**

გარდაცვალების გამო. დაუვიწყარი იქნება სახელი შენი ჩვენს გულში, ძვირფასო ამხანაგო ვენე

---

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მარიამი, შვილები: ქსენია, ეკატერინე, ანასტასია და ნიკოლოზ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

**ტიმოთე პეტრეს ძე კავთიევსკის**

გარდაცვალებას. დასაფლავება დღეს წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება ნაძალადევის ეკლესიიდან დილის 10 საათ.

---

## ბრძოლის შეწყვეტა

სულ რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც პირველი რიგები მოწვეული ჯარისა გამართა ბრძოლის ველზე და მტერმა უკვე ზურგი უჩვენა პირი არარატისაკენ. მან დასცალა ყველა გამაგრებული ადგილები და ახლა ფეხმოსაკიდი ალარსად აქვს.

მაგრამ სწორედ ამ დროს უსწრებს გამარჯვებით აღფრთოვანებულ ჯარს ომის შეწყვეტის ცნობა. ჩვენ ვიცით, რომ ეს ცნობა გულს დასწყვეტდა ბევრ მებრძოლს. ჩვენი ჯარი ომობ და არა ბრძანებას გამო, არამედ იმისთვის, რომ მტრის მუხანათური შემოსევა, მას თავის არსებობისთვის დიდ საფრთხედ მიაჩნდა. ჯარი იბრძოდა თავისი უფლებებისა და რესპუბლიკის დასაცველად. ცხადია შეწყვეტა ბრძოლის, როცა იგი ამ საფრთხის საბოლოოთ თავიდან აშორებაზე ფიქრობდა, მისთვის ადვილად მისაღები არაა.

ჩვენ გვესმის ჯარის გულისწუხილი. ჩვენ გვესმის საზოგადოების დრტვინვა, რომელსაც არ სურს ომის უდროოთ შეწყვეტით ხელახალი საფრთხის შესაძლებლობა დასტოვოს ბორჩალოს საზღვრებზე.

ამას კარგათ ვგრძნობთ ჩვენც... ამას ხედავს ჩვენი მთავრობაც. მაგრამ არის გარემოება, რომელიც გვაიძულებს ამ წუთსვე შევაჩეროთ საომარი მოქმედება. ეს არის ინგლისის და მოკავშირეთა მისსის ჩარევა საქმეში.

ჩვენთვის საჭიროა ინგლისის და მისი მოკავშირეების მიერაც იქნეს ცნობილი ჩვენი დამოუკიდებელი არსებობა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ იგი საზღვრების საკითხშიაც, მიუხედავათ სომხურ სიმპატიებისა, ვერ გადააბიჯებს აშკარა სამართლიანობას და ვერ მოგვახვევს თავზე იმას, რაც ჩვენი სახელმწიფოს არსებითი ინტერესების შემზღუდველი იქნება. უკანასკნელ, ჩვენ არ გვინდა სისხლის ღვრა, როცა შეიძლება სხვა გზითაც მიღწევა ჩვენ მიერ დასახული მიზნის: სომხეთის მთავრობამ უკვე წერია შედეგი თავზედური თავდასხმის. სომხის ხალხიც მიხვდება დაშნაკელების მოღალატეობას.

მართალია ყველა ეს უკეთ იქნებოდა უზრუნველყოფილი, ჩვენ რომ იარაღის საბუთი გაგვემძლავრებინა, ვინემ სიტყვიერი და ინგლისურათ ლაპარაკით, მაგრამ სამაგიეროთ, რაც გვაკლდება აქ, ის გვემატება საერთაშორისო ასპარეზზე, ევროპის სახელმწიფოთა შორის.

გერმანელებმა და ბევრმა ნეიტრალურმა ქვეყნებმა იცნეს უკვე ჩვენი დამოუკიდებლობა და სახელმწიფო ერათ ჩაგვთვალეს. დღეს ინგლის-საფრანგეთიც დაინახავს, რომ ჩვენ შეგვწევს ძალა და უნარი ბრძოლისა და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისა, რომ ჩვენ ვიცით მეგობრობაც და მტრობაც, რომ ჩვენ გვაქვს სახელმწიფო და გვყავს ჯარი, რომელიც იბრძვის, როცა საჭიროა და შეჩერდება, როცა ამას მდგომარეობა მოითხოვს.

ამით მოემატება ჩვენ სახელს, პრესტიჟს საერთაშორისო ასპარეზზე, სამშვიდობო კონფერენციაზე და ამით მივაღწევთ უფრო მეტს შედეგს, ვიდრე ასიოდე სომხის ჯარისკაცზე ჯავრის ამოყრით და რამდენიმე ახალი სოფლის დაპყრობით.

გულის მოფხანა არ კმარა საერთაშორისო პოლიტიკაში. აქ საჭიროა მოქნეულის გაზომვაც და გაბედული ნაბიჯის აწონ-დაწონვაც.

და ამ საერთაშორისო გარემოებებმა აგვარჩევინეს ჩვენ ინგლისის წინადადების მიღება და სომხებთან ომის შეჩერება.

ჩვენ გვრწამს, რომ საქართველოს მხედრობა ისეთივე სახელმწიფოებრივი სიმწიფით შეხვდება ამ შეჩერებას, როგორც თავდადებული სდევნიდა მტერს ჩვენი საზღვრებიდან.

ჩვენ გვრწამს, რომ იგი აჰყვება არა გულისთქმას, არამედ გონიერებას და პოლიტიკურ მიზანშეწონილებას...

უნდა ერთი აეხსნათ კიდევ ჯარის და საზოგადოების საყურადღებოთ. შეჩერებულია საომარი მოქმედება, მაგრამ ჯერ არ არის ზავი. სომხეთთან მხოლოდ ახლა დაიწყება მოლაპარაკება. არ ვიცით რით დამთავრდება იგი. ჩვენ გვჯერა ინგლისელების, მოკავშირე სახელმწიფოების, მაგრამ არ გვაქვს რწმენა სომხის მთავრობის სიტყვის და დაპირების. ამიტომ საჭიროა ჯარი ფეხზე დარაჯად იდგეს საზღვრებზე, და თავისი ხმლით მისაშველებლად მზათ იყოს, თუ სომხეთის მთავრობის ჭკუამ ვერ შეიგნო ნამდვილი საჭიროება მომენტისა და სიმართლე ჩვენი მოთხოვნილებისა. სამხედრო მოქმედება შეჩერდა, მაგრამ ომი არ შეწყვეტილა.

## ყოფილ ამხანაგთა პრეტენზიები

ბევრი შურითა და მტრობით უცქერის ჩვენს ქვეყანას და მის დემოკრატიას, მაგრამ მიუხედავათ ამისა, საქართველოს რესპუბლიკას მაინც ბედნიერ გამონაკლისათ სთვლიან ყოფილ რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეზე: ასე იქცევა განსაკუთრებით ყველა ის, ვისაც ბედმა არგუნა საქართველოს წყობილების გაცნობის შემდეგ რუსეთის ზოგიერთ რესპუბლიკებში ცხოვრება.

სამაგიეროთ არაფერი ეშველა იმ ინტელიგენტურ ჯგუფებს, რომელნიც ჩვენს ქვეყანაში დარჩნენ და ჩვენი სტუმართ-მოყვარეობით უხვად სარგებლობენ: ესენი არიან ყოფილი უბრალო რუსი მოხელეები და აგრეთვე ის პირები, რომელნიც სოციალისტურ და ინტერნაციონალურ პარტიებს ეკუთვნიან. ჩვენ იმ თავიდანვე ვიცოდით, რომ ისინი არ მოიწონებდნენ საქართველოს დემოკრატიის და მისი ხელმძღვანელის პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო თავდამსხმელების წინააღმდეგ და ამიტომ არც გვაკვირვებს რუსულ „სოციალ-დემოკრატში“ ა. ა. ზ. გამოლაშქრება: „ჩვენი უთანხმოება იწყება იმ მომენტიდან, როცა სამხედრო მოქმედება თითქმის ოფიციალურათ დაიწყო და როცა ნ. ნ. ჟორდანიამ ომის შეწყვეტის ლოზუნგის ნაცვლად წამოაყენა ლოზუნგი ომის წარმოებისა სრულს გამარჯვებამდის“. თურმე მუხანათ მტრის წინააღმდეგ ბრძოლა და გამარჯვება ა. ზ. აზრით, „როგორც კედელი, დიდი ხნით გათიშავს ორივე ერის დემოკრატიას და გააძლიერებს ურა-ნაციონალისტურ ელემენტებს“.

ასე ქადაგობს ჩვენი ყოფილი ამხ. ა. ზ. გაზეთ „სოციალდემოკრატში“ იმ დროს, როცა მთელი ხალხი ფეხზეა ამდგარი და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს თავის არსებობის შესანარჩუნებლათ.

აი მეორე ამხანაგი. ამ ჩვენი ყოფილ ამხ. ა. ზ. ა. ვერაშნი ასეთი სიტყვებით ახასიათებს ჩვენი დემოკრატიის ბელადს ნ. ჟორდანიას: არ დაიხრჩე იმ ნაციონალისტურ ჭაობში, რომელსაც შენს პარტიაში გადმოუხვეთქიაო. ხოლო ყოფილ ჩვენი ამხანაგების ახლობელი მეგობრები და თანამშრომლები „მარცხნიდან“, რომელთაც ახლა „ნაშე ზნამია“ გამოუციათ, ენერგიულათ ურჩევენ ჩვენს დემოკრატიას მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებას და ომის მოსპობას.

ასე ეჯიბრებიან ერთმანეთს „სოციალდემოკრატის“ და „მემარცხენე“ სოციალისტ-რევოლიუციონერების ჯგუფები ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამათში ერთს „ამხანაგს“, რომელიც სწერს ფსევდონიმით idem, ისე შესძაგებია საქართველოს რესპუბლიკა, რომ რუსეთის თვითმპყრობელობასაც კი უფრო მაღლა აყენებს და იხვრა-ვეშით იგონებს მას. აი რას სწერს ის, სხვათა შორის, თავის მიმოხილვაში: „წინათ, თვითმპყრობელურ რუსეთში, პრესას არა ნაკლებ სასტიკათ სდევნიდნენ, მაგრამ მაშინაც კი რედაქტორებს არ ასახლებდნენ გაუსამართლებლათ და გამოუძიებლათ, ადმინისტრატიულის წესით; დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ამ მხრით გადააჭარბა რუსეთის დესპოტიზმს“ ასეთია „სოციალდემოკრატის“ დამსახურებით ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის მოქმედება ყველა სხვა დარგშიაც.

და ასეთი ბრძოლა, ასეთი ცილისწამება, ასეთი მოწოდება ჩვენი მთავრობის და რესპუბლიკის წინააღმდეგ მეორდება ყოველ ნომერში, ყოველ სტრიქონში.

ჩვენ კარგათ გვესმის, რომ ჩვენი რესპუბლიკა არ მოსწონთ იმ ინტელიგენტურ ჯგუფებს, რომელნიც რუსულ „სოციალდემოკრატში“ და „ნაშე ზნამია“-ში სწერენ, არ მოსწონთ ჩვენი რესპუბლიკა აგრეთვე დაშნაკელ ლიტერატორებს, მაგრამ იმას კი არსად შევხვედრივართ, რომ რომელიმე სახელმწიფოში და ისიც ომის დროს ნებადართული იყოს ისეთი ორგანიზაცია და პრესა, რომელიც ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ აშკარათ მოქმედებდეს სხვა სახელმწიფოს სასარგებლოთ.

ჩვენი მოვალეობაა პირდაპირ უთხრათ ასეთ პირებს: ქეთილ ინებეთ და თქვენი მოქმედების ბაზათ გაიხადეთ ის სამეფო, თუნდაც ის თვითმპყრობელური რუსეთი, რომელიც თქვენ აგრე ტკბილათ გიხსენებიათ. წელი ბრძოლეთ იმ ბრძოლაზე, რომელსაც თქვენ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ აწარმოებთ: ჩვენ ვიცით სტუმრის პატივი და შეწყნარება, მაგრამ ვერ მოვითმენთ, როცა სტუმართ მოყვარეობით ბოროტათ სარგებლობენ და მოღალატურათ გვითხრიან ძირს მაშინ, როცა შეერთებული მუშაობაა საჭირო.

ასეთ დროს საშიშია ყველა ის, ვინც ჩვენთან არ არის, მით უმეტეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს იმათ, ვინც ჩვენს ტერიტორიაზე ჩვენვე გვებრძვის.

## დემოკრ. ორგანიზ. თათბირი

დემოკრატიულ ორგანიზაციების შეერთებული ყრილობა უკვე დასრულდა. ყრილობამ მოისმინა მოხსენება მომენტის შესახებ, მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც მთავრობას ნდობა გამოუცხადა და შეიმუშავა ადრესი—მიმართვა საქართველოს ახალგაზრდა პარლამენტისადმი.

ამნაირათ ერთის შეხედვით ახალი და ღირს შესანიშნავი თითქოს არაფერი მომხდარა: ჩვენს დემოკრატიას არა ერთხელ გამოუთქვამს საქვეყნოდ თავისი მრწამსი და თავისი სისხლით დაუმტკიცებია განახლებულ ცხოვრებისათვის თავდადება. და ყველა იმისათვის, ვინც საქართველოში ცხოვრობს და საქართველოს ცხოვრებას იცნობს, დღემდისაც ცხადი იყო, თუ რა ერთსულოვნობით ადევს ჩვენი ხალხი რევოლიუციის მონაპოვარს და როგორის ნდობით ეპყრობა ის თავის მთავრობას.

სამაგიეროთ ჩვენ არ გვიცნობენ უცხოელები და ამიტომ ადვილად ებრდებიან ისინი ჭორების ქსელში, რომელსაც ჩვენი მტრები აბამენ საქართველოს გარშემო. აი ამ ჩვენი მტრების წყალობით გავრცელებულია ის აზრი, ვითომ ჩვენი მთავრობა მემამულეების და გერმანელების ძალას ეყრდნობოდეს, და ვითომ მას ხალხში არავითარი კავშირი არ ჰქონდეს.

სომხეთთან ომმა უნდა დაარწმუნოს ყველა, რომ ჩვენი მტრები უპირცხვილო ცილისმწამებლები არიან: ჩვენ სრულებით არ ვიყავით მომზადებული ომისათვის, ამიტომ ასე ადვილად გადმოლახა სომხის ჯარმა ჩვენი საზღვრები და დიდი ზიანიც მოგვაყენა. მაგრამ საკმაო იყო მთავრობის უბრალო მოწოდება, რომ მთელი ხალხი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე [illegible]

ამავე [illegible] ნიზაციების [illegible] ის, რაც [illegible] ლით გა[illegible]: ყრილობამ ერთხმად აღიარა, რომ ის სავსებით იწონებს იმ პოლიტიკას, რომელსაც ჩვენი მთავრობა აწარმოებს და მზათ არის მთელი თავისი ძალ-ღონე შესწიროს საერთო საქმეს. ამ მხრით დემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობა დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დემონსტრაცია იყო: ამ ყრილობამ უნდა აუხილოს თვალი ყველა იმათ, ვინც დღემდე ალმაცერათ გვიყურებდა, ხოლო ვინც ჩვენდამი შურით და მტრობით არის გაქლენთილი, მათ უნდა დაინახონ, რომ ამაოდ ილაშქრებენ ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომლისთვისაც თავგანწირულად იბრძვის მთელი საქართველოს ხალხი.

საქართველოს რესპუბლიკას, მის დამოუკიდებლობას და გაევროპიელებას მკვიდრი საფუძველი აქვს ჩაყრილი. ეს ნათლად დაამტკიცა დემოკრატიულმა ყრილობამ.

ამაშია მისი დიდი აზრი და პოლიტიკური მნიშვნელობა.

# დღეს

31 დეკემბერს ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიკავა სოფ. ბოლნის ხაჩინი. 31 დეკემბერს დღის 24 საათზე მთავრობის განკარგულებით შეწყდა სამხედრო მოქმედება და გაქცეული მტრის დევნა. 1 იანვარს დროებითი ზავის დარღვევის შემთხვევა არ ყოფილა.

---

ახალციხის გლეხთა სამაზრო ყრილობა, რომელიც 1 იანვარს გაიხსნა, სალამს უძღვნის ჩვენს მთავრობას, აღუთქვამს გარეშე მტერთან ბრძოლაში დახმარებას. ყრილობამ მოიწონა მთავრობის ნაბიჯები, მიწის საკითხის გადახაჭრელად გადადგმული.

---

გერმანიის განახლებულ ცენტრალურ მთავრობაში შეიდემანი იკისრებს გარეშე საქმეთა მართვა-გამგეობას, ნოსკე—სამხედროს, ვისელი—სოციალურ-პოლიტიკურს.

## ამიერ-კავკასია და საქართველოს რესპუბლიკა 1918 წელს.

(გაგრძელება).

ბოლშევიკურ მთავრობის მიერ ჩამოგდებულ ხელშეკრულობის გასაბათილებლათ ამიერ კავკასიის მთავრობამ გადასწყვიტა თითონ დაიწყოს მოლაპარაკება ოსმალეთის მთავრობასთან. ამისთვის დაინიშნა კონფერენცია, რომელიც 12 მარტს გაიხსნა ქ. ტრაპეზუნდში. კონფერენციაზე ამიერ-კავკასიის წარმომადგენლებმა მოითხოვეს, რომ ოსმალეთმა ჯარი სთქვას ბათუმზე, ყარსზე და არდაგანზე, მაგრამ მოლაპარაკების დასაწყისშივე გამოირკვა მთელი ჟიმედობა ამ საქმის: ოსმალეთის ჯარი, რომელიც რუსეთის ჯარის წამოსვლისთანავე ფრონტიდან წავიდა, როდესაც რუსეთის ჯარისაგან ფრონტი მთლად გაიწმინდა, უცბათ მოტრიალდა, ისევ დაიწყო კავკასიისაკენ სვლა, აიღო არზრუმი და ოსმალეთის ყველა ქალაქები, რომლებიც რუსეთის ჯარის მიერ იყო დაპყრობილი და მოადგა არდაგანს, რომელიც 22 მარტს აიღო; სწორეთ კონფერენციის დროს ოსმალებმა ჯარი მოაყარეს ყარსს და ბათუმს. 12 აპრილს ამიერ-კავკასიის დელეგაციამ მიიღო ოსმალეთის მთავრობისაგან ულტიმატუმი ყარსის და ბათუმის დაუყონებლივ დაცლაზე, დელეგაცია უკან წამოვიდა.

13 აპრილის სხდომაზე სეიმმა გადასწყვიტა არ მიიღოს ოსმალეთის მოთხოვნა და წინააღმდეგობა გაუწიოს ოსმალეთის ჯარს. მაგრამ ომის დაწყებისთანავე გამოირკვა, რომ ამიერ კავკასიას არავითარი ძალა არ შესწევს საომრათ, რომ არც ამიერ-კავკასიის ერებშია სათანადო თანხმობა, არც ჯარშია სათანადო საომარი განწყობილება. 15 აპრილს ოსმალეთის ჯარის სულ მცირე ნაწილმა თითქმის უბრძოლველათ დაიჭირა ბათუმი. გადაწყდა ტრაპეზუნდში დაწყებული მოლაპარაკების განგრძობა ქ. ბათუმში და ბრესტ-ლიტოვსკის პირობებზე დათანხმება. ოსმალეთის მთავრობამ მოლაპარაკების განახლების პირობათ აღიარა ამიერ-კავკასიის რუსეთისაგან დამოუკიდებულ სახელმწიფოთ გამოცხადება.

22 აპრილის სხდომაზე სეიმმა გადასწყვიტა ოსმალეთის ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნეს, ამიერ კავკასია გამოცხადდა რუსეთისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. 19 მაისს განახლდა ქ. ბათუმში ოსმალეთთან მოლაპარაკება ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების პირობებში. მაგრამ მოლაპარაკების განახლებისას გამოირკვა, რომ ოსმალეთის მთავრობა უკვე ამ პირობებზედაც აღარ დაკმაყოფილდება. მოლაპარაკების მიუხედავათ ოსმალთა ჯარი განაგრძობდა წინ სვლას, შემოუარა ყარსსა და ბათუმიდან მოიწევდა ქუთაისის გუბერნიის საზღვრებისაკენ. კონფერენციაზე აშკარათ თავი იჩინა შეურიგებელმა წინააღმდეგობამ თვით დელეგაციის შემადგენლობაში. გამოირკვა, რომ ამ დელეგაციის სამი მთავარი ნაწილი—სოც.-დემ., მუსავატი და დაშნაკცუთიუნი—სულ სხვადასხვა მიზნებს ისახავენ მოლაპარაკების დროს და სულ სხვადასხვა გზას ადგიან. ოფიციალური მოლაპარაკება სწარმოებდა კონფერენციის ზურგს უკან: დელეგაციის ცალკე ნაწილები თავისით ევაჭრებოდნენ ოსმალეთის მთავრობას. ამ გარემოებამ დაუკარგა კონფერენციას ყოველივე აზრი.

ოსმალთა ჯარის წინსვლა, ალარაფერი ელობებოდა წინ. მის მიერ ამიერ-კავკასიის დაპყრობა, როგორც სჩანდა, გარდაუვალი უბედურება იყო. მაგრამ აქ თავი იჩინა ერთმა ახალმა გარემოებამ, რომელიც იმედის სხივათ შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში: გამოირკვა, რომ ოსმალეთის პოლიტიკას ამიერ-კავკასიის მიმართ არ იზიარებს გერმანია, რომ იგი არ არის თანახმა ამიერ-კავკასიის ოსმალეთის მიერ დაპყრობაზე. გერმანიის წარმომადგენლებმა იკისრეს მორიგება ოსმალეთის და ამიერ-კავკასიის მთავრობის. მაგრამ ოსმალეთის მთავრობამ ამ დროს უკვე დაიჭირა ერევნის გუბერნიის ნაწილი და ამიერ-კავკასიის მთავრობას 26 მაისს ულტიმატუმი წარუდგინა მთელი ამიერ-კავკასიის რკინის გზის გადაცემის შესახებ ოსმალთა ჯარის განკარგულებაში.

საქართველოს სათავეში მდგომმა პარტიამ დაინახა, რომ ერთი მეორის მოწინააღმდეგე მიმართულება, რომელმაც თავი იჩინა ამიერ-კავკასიის ერთა შორის, შეუძლებლად ხდის რაიმე გარკვეულ პოლიტიკის წარმოებას. ამიტომ მან გადასწყვიტა გამოჰყოს საქართველო ცალკე რესპუბლიკათ და ამ რესპუბლიკამ თვით უპატრონოს თავის თავს. ამ აზრს ყველა პარტიები სრულის თანაგრძნობით შეხვდნენ. 26 მაისს მოხდა ამიერ-კავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც სეიმმა თავისი თავი დაშლილად გამოაცხადა. ამავ დღეს სეიმის ის ნაწილი, რომელიც საქართველოს ტერიტორიის წარმომადგენელი იყო, შეიკრიბა ცალკე, გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაარსება და გადასწყვიტა საკანონმდებლო ორგანოთ აღიაროს საქართველოს ეროვნული საბჭო პარტიების წარმომადგენლების დამატებით პროპორციონალურად გადიდებული.

ოსმალეთის მთავრობა დათანხმდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან ცალკე განაგრძოს მოლაპარაკება ქ. ბათუმში. ამავ დროს მისი ჯარი განაგრძობდა წინსვლას, ოზურგეთი უკვე დაჭერილი იყო. საქართველოს ცაზე საშინელი ღრუბლები შეჯგუფდა, არსაიდან არავითარი ხსნა არ სჩანდა. ერთად ერთი ხსნა იმაში იყო, რომ გერმანიის წარმომადგენლები ჩარეულიყვნენ საქმეში, შეეჩერებინათ ოსმალთა ჯარი და ეხსნათ საქართველოს ტერიტორია სრულის განადგურებისაგან და მცხოვრებნი დაღუპვ სგან. ბათუმში ოსმალეთთან მოლაპარაკების დროს ქ. ფოთში დაიწყო მოლაპარაკება გერმანელებთან. ოსმალეთის მთავრობამ მოითხოვა რკინის გზის კონვენციის შეკვრა. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა მთელ საქართველოს ოკუპაციის თავიდან ასაცილებლად ხელი მოეწერა ამ კონვენციაზე, რომელიც საქართველოს ოსმალეთის პროვინციათ გადააქცევდა, თუ ოსმალეთს რაიმე დაბრკოლება არ დახვდებოდა წინ. ამავე დროს, 28 მაისს ქ. ფოთში საქართველოს მთავრობამ შეჰკრა მეორე კონვენცია—გერმანიასთან. ეს კონვენცია ბევრით უფრო რბილი იყო და გარდა მაგისა საქართველოსა და ოსმალეთის ურთიერთობაშივე ამ კონვენციის წყალობით გერმანია უნდა ჩარეულიყო. გერმანიის მთავრობის მოთხოვნით, მართლაც, შეჩერდა ოსმალთა ჯარის წინსვლა, საქართველოს და ოსმალეთს შორის საზღვრათ დაიდო მდ. ჩოლოქი, ქუთაისის გუბერნიის ხაზი; ახალციხის და ახალქალაქის მაზრები, სულ მცირე გამოკლებით, ოსმალეთს ერგო, ოსმალეთის ჯარმა დასტოვა ოზურგეთის მაზრის ის ნაწილი, რომელიც მას ეჭირა.

გერმანიასთან ხელშეკრულობის ჩამოგდებით ახალი ხანა იწყება საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრებაში—ხანა გერმანიის გავლენისა. საქართველოში შემოვიდა გერმანიის ჯარი. ჩაერევა, თუ არა, ძლევამოსილი გერმანია საქართველოს შინაურ საქმეებში? მოინდომებს, თუ არა, იგი გადააქციოს საქართველო გერმანიის პროვინციათ? მთელი დემოკრატია, მთელი ერი ძრწოლით ელოდა თავის ბედის გადაწყვეტას, რადგან გერმანიის ჯარს რომ ეს მოენდომა, მას არაფერი გადაეღობებოდა წინ. მაგრამ გამოირკვა, რომ გერმანიის პოლიტიკაში არ შედიოდა საქართველოს რესპუბლიკის მოსპობა ან დამცირება, რომ პირიქით მისი ინტერესები მოითხოვდნენ საქართველოს რესპუბლიკასთან მშვიდობიან განწყობილებას და მასთან მორიგებას. ამ პოლიტიკურ ხაზისთვის გერმანიის წარმომადგენლებს საქართველოში არ გადუხვევიათ, თუ ზოგიერთ აუცილებელ მცირე ფაქტს არ ჩავთვლით, მათ თავი ბოლომდის ლოიალურად ეჭირათ, გერმანიის ჯარი კიდევაც ეხმარებოდა საქართველოს მთავრობას მტრის მოგერიებაში, მისი პიკეტები საქართველოს წითელ გვარდიასთან ერთად სწმენდენ ბორჩალოს მაზრას ოსმალთა ჯარებისაგან და მათთან შეერთებულ თათრების ბრბოებისაგან; მისი ჯარის ნაწილები იცავდნენ საქართველოს ბოლშევიკურ ბრბოების შემოსევისაგან ჩრდილოეთის მხრით.

(შემდეგი იქნება).

# პრესა

„მშაკი" (№ 269) თავის მოწინავე წერილში, რომელსაც ჰქვია „ვის პურს ჭუსვამთ ერბოს", შემდეგს სწერს:

„სომეხ-ქართველთა კონფლიქტის ყველაზე მეტად დამღუპველი შედეგთაგანი ის არის, რომ მან კარი გაუღო გარეშე ძალებს ჩვენ საქმეებში ჩასარევათ და ჩვენი შინაური საქმეები გადაჭრა დააყენა სრულიად სხვა ნიადაგზე. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკები გახადა უცხოელების იმპერიალისტურ მისწრაფებათა საგნათ. ცხადია, რომ მოკავშირე სახელმწიფოების ფინანსიური პლუტოკრატია სცდილობს აღადგინოს რუსეთი თავის ძველ საზღვრებში, და თუ ამით რუსეთის მრავალტომიანი ერები დაჰკარგავენ პოლიტიკურ და კულტურულ მონაპოვრებს—ყველა ამას, რა მნიშვნელობა აქვს პარიზის, ნიუიორკის და ლონდონის ბირჟების მაკლერებისთვის. მათთვის საჭიროა, რომ რუსეთიდან გამოიტანონ თავიანთი დახარჯული ფული და ამ მიზნის მისაღწევათ მუდამ მზათ არიან თანამედროვე ევროპიულ პლუტოკრატიის ეს მორჩილი აგენტები. და ამ საქმის განსახორციელებლათ საჭიროა, რომ კავკასიის რესპუბლიკები იყვნენ დასუსტებული, გართული შინაგანი უთანხმოებებით და ჩხუბებით, არ ჰქონდეთ ერთი ნება და ერთნაირი ტაქტიკა. Divide et impera—აი ერთად ერთი პოლიტიკა, რომელსაც მისდევენ უცხო, გარეშე ძალები.

„ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე გამრავლდნენ ბნელი ძალები. დენიკინები და კოლჩაკები მოისწრაფიან ჩვენკენ და ესენი არა დემოკრატიული რუსეთის, არამედ შავი და ბნელი რეაქციის ნამდვილი წარმომადგენლები არიან, რომლებსაც უნდათ ჩაახრჩონ სისხლის ზღვაში მთელი რუსეთის დემოკრატია და ამასთან ერთათ გააბათილონ ჩვენი ერების ყველა დემოკრატიული მონაპოვარნი.

„გრძნობენ თუ არა ახლანდელი ომის ავტორები, თუ რა ბოროტ მოქმედობას სჩადიან ამიერ-კავკასიის დემოკრატიის წინაშე?.. გრძნობენ თუ არა, ვის პურს უსვამენ ერბოს, როცა უგუნურად ჩაუთრევიათ ორი მოძმე ერი ამ დამღუპველ ომში? ამ ორი მოძმე ერის მშრომელ ელემენტების სისხლის ფასით, შეიძლება შეუგნებლადაც, გზა ეკაფება დენიკინელების და კოლჩაკელების შემოსვლას და ყველა ამას ხელს უჭერენ ჩვენი ევროპიელი ყალბი ნათესავები, რომლებმაც უკანასკნელ წლებში ბევრი მუხანათობა უყვეს კავკასიის ერებს და იმ სომხებს, რომლებიც გაჰხადეს თავიანთი პოლიტიკურ ოინების საგნათ. ეხლა იგივე პოლიტიკურ ოინების საგნათ გაუხდიათ მთელი კავკასიის ერები. ყველა ამისთანა მოქმედების წინააღმდეგ კავკასიის რესპუბლიკებმა უნდა გამოიყვანონ თავიანთი საერთო ნება, დააბოლაონ თავიანთი შინაგანი უთანხმოებანი და ჩხუბები და ხელიხელთ ჩაკიდებულებმა დაიცვან ამიერ კავკასია ყველა გარეშე საფრთხისაგან. და უკეთუ როდისმე უნდა მოვიდეს აქ რუსეთი, ეს დენიკინის და კოლჩაკის რუსეთი არ იქნება. დენიკინის რუსეთს შეუძლიან მოვიდეს მხოლოდ კავკასის დემოკრატიის წინააღმდეგ და მის გვამებზე. უკეთუ როდისმე კავკასია უნდა შეუერთდეს რუსეთს, ეს უნდა მოხდეს კავკასიის ერების თავისუფალი ნებით და იმ მომენტში, როცა ამას მოითხოვს კავკასიის დემოკრატიის პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესი. დენიკინის რუსეთი იმისთანა საფრთხეა კავკასიისთვის, როგორც იყო ოსმალეთი, რამდენიმე თვეების წინეთ. ეს კარგად უნდა შეიგნონ მათ, რომლების სინდისსაც აძლევს სომეხ და ქართველ დემოკრატიის უდანაშაულო სისხლი და დროით მოსპონ ძმათა ომი. უცხოელების პურს ნუ უსვამთ ერბოს".

ამ სიტყვებით ათავებს „მშაკი" წერილს.

სრულს სიმართლეს ამბობს გაზეთი. ძმათა შორის ბრძოლა მხოლოდ გარეშე ძალას ახარებს, და ამიერ-კავკასიის დემოკრატიას ახუსტებს. და ჩვენ პირველი მივიღებდით სიხარულით სისხლის ღვრის შეჩერებას. ჩვენი მიზანი, ვიმეორებთ, არ არის სომხეთის უბედურებაზე აგება ჩვენი ბედნიერების. ჩვენ მხოლოდ ერთი გარანტია გვინდა, გარანტია იმისა, რომ დემოკრატიულ, სანდო, საიმედო მთავრობასთან და პოლიტიკასთან გვქონდეს საქმე, და არა ამ დაშნაკელებთან, რომელნიც უცხო ძალის მოსვლის დიდი მოტრფიალენი არიან და დენიკინთანაც კავშირს არ ერიდებიან. დღეს არავისათვის საეჭვო არ არის, რომ სომხის დაშნაკცუთიუნი ეწეოდა პროვოკაციას არა მარტო სომხეთში, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაშიაც.

ბოლშევიკებთანაც, დენიკინის ჯარშიაც, ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც კი ჩალხუშნიანები მოიპოვება და სადაც შხამს და გესლს ჩვენს წინააღმდეგ რაიმე გასავალი ჰქონდა.

ისინი ამით ასამარებდნენ დემოკრატიას. და, როცა „მშაკის" თანამშრომელნი ცდილობენ დაშნაკელების გავლენა გააუქმონ სომხის დემოკრატიაში, ჩვენ სულით და გულით მასთან ვართ. მხოლოდ ჩვენ საკმარისად არ მიგვაჩნია აქამდე მათთან მხოლოდ სიტყვიერი ბრძოლა. ჩვენთვის აუცილებელია იარაღის კრიტიკაც და კრიტიკა იარაღითაც. უამისოთ ჩვენ მათ მოქნეულ ხმალს ვერ ავიცილებთ.

# ბრძოლის ველი

(სამხედრო შტაბის ცნობა)

2 იანვარი.

1 იანვარი. გუშინ, შუადღის 1 საათზე ორჯერ მრავალრიცხოვან მტერთან შეუპოვარ ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა დაიკავა სოფელი ბოლნის ხაჩინი. დამარცხებული მტერი ყოველ მხარეზე გაიფანტა. გარდა ტყვეებისა ხელთ ვიგდეთ 4 ტყვიისმფრქვეველი, მრავალი ზარბაზნის ყუმბარა, ვაზნები და საზიდლები. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად გუშინ, 31 დეკემბერს, ჩვენი ჯარების სარდალმა ტელეგრამა გაგზავნა, რათა იმავე დღის 24 საათზე ყოველი საომარი მოქმედება და გაქცეული მტრის დევნა შეწყვეტილ იქნას.

2 იანვარი.

გუშინდელი დღის განმავლობაში დროებითი ზავის დარღვევის შემთხვევა არა ყოფილა.

---

ეკატერინენფელდი. 1 იანვარი. ეკატერინენფელდის რაზმი, რომელმაც გუშინ ჰპოვა სახელოვანი გამარჯვება ბოლნის ხაჩინთან, ულოცავს თავის მთავრობას და ხალხს ახალ წელიწადს და იმედოვნებს, რომ დამდგარი წელი სამუდამოდ განამტკიცებს რევოლიუციის მონაპოვართ და მისცემს ჩვენს ქვეყანას სასურველ ზავს. ამასთანავე მთელი რაზმი,—აუცილებლივ ემორჩილება რა თავისი მთავრობის ნების-ყოფას,—მაინც ჰფიქრობს, რომ დროებითი ზავი იმ მომენტში, როცა აშკარად გამარჯვებული ვართ თავხედსა და დამნაშავე მოწინააღმდეგეზე არის უდროვო.

სახალხო გვარდიის ხაველე შტაბი.

---

ბოლნის ხაჩინი. 1 იანვარს, 10 ს. 50 წ. ვალ. ჯუღელმა და ალ. დგებუაძემ პირდაპირი მავთულით გადმოსცა თფილისში შემდეგი: „2 დღის სასტიკი ბრძოლის შემდეგ 31 დეკემბერს 13 საათზე მეტად გამაგრებული სოფელი ბოლნის-ხაჩინი, სადაც იმყოფებოდა ჩვენ წინააღმდეგ მომქმედი რაზმის შტაბი, აღებული იქნა ჩვენი ეკატერინენფელდის რაზმის მიერ. საუცხოვო საარტილერიო მომზადების შემდეგ 31 დეკემბრის დილის 11 საათზე ჩვენი ქვეითა ჯარის ნაწილი გადავიდა „ურას" ძახილით ხიშტით და 12 საათზე ჩამოაგდო მტერი ყველა მეტად გამაგრებულ მაღლობებიდან, რომელიც მას ეკავა. ხელთ ვიგდეთ 6 ტყვიისმფრქვეველი, დიდი საწყობი ყუმბარებისა და აუარებელი სამხედრო მოწყობილობა. მთელ ჩვენს რაზმს, ყველა სამხედრო ნაწილებს თავი საუცხოვოთ ეკავათ. დამარცხებულ და გაქცეულ მტერს ჩვენი ჯარი სდევნიდა მანამდე, სანამ მიღებულ არ იქნა ცნობა დროებითი ზავის შესახებ. დროებითი ზავის ცნობამ დამაღონებელი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგანაც არ მოგვცა საშუალება დაწყებული გამარჯვება გაგვეფართოებინა და მიგვეყვანა ბოლომდე.

---

### სამხედრო მინისტრი ფრონტზე.

31 დეკემბერი. საღამოს 9 საათია. სადახლოზე დაყრდნობილ ცივაბო მთებში გაისმის წინ მედგრათ ბრძოლით მსვლელთა ყიჟინა; ჭრილობების, სიცივის, დაღლილობის, სიკვდილის შეუშინებელი მოწინავე რაზმები წინ მიილტვიან, ცხარე ომით, მაღლობებს იპყრობენ, ერთი მეორეს ეცილებიან, რომ ადრე გადავიდნენ სადახლოზე შემდგარ მაღლობებზე და ალავერდის დაჭერით მტერს უკანასკნელი პოზიცია დააძრონ ხელიდან.

— ბრძანებაა—შეჩერდითო!

— ვინ მოჭორა?

— არა, მართალია, სარწმუნო წყაროებიდან ვიცით.

არ ეტყობა, რომ ვინმე გვაჩერებდეს: ჯარი ელოდება წინ წაწევას, მოწინავე ნაწილებში მიილტვის და „რეზერვში" დგომას ჭაობს ეძახის...

თფილისს მოვუახლოვდით, სადგურზე ვინც გვხვდება, მათ სახეს უკვირდებით, რომ ამოვიკითხოთ: მართალია?!

თითქოს სინამდვილე არ არას, რაც ვისმენეთ, რაც ვიცით. სამხედრო მინისტრის ვაგონი ბრძოლის ველზე გასამგზავრებლათაა გამზადებული.

სამხედრო მინისტრი, ქალთა კომიტეტი და წითელი ჯვრის წარმომადგენლები საჩუქრებით ბრძოლის ველზე სახე-გაღიმებული მიეშურებიან. მაშ, ყველაფერი, რაც გაკვრით გავიგეთ, სიცრუეა და ეს ასეც უნდა მომხდარიყო!

აბა, შევიტყოთ რაშია საქმე! სიმართლე ყოფილა, რაც გვიამბეს.

სხვისა ხელით, აუცილებლობით შექმნილი სიმართლე.

კარგი! მაშ, რაც მოხდება მარტო ჩვენი ბრალი არ არის!..

სანდარს მიუახლოვდით. საბრძოლველათ გამზადებული ჯარი მინისტრს ეგებება. მინისტრი ახალი წლის გამარჯვებასა და მტრის სასტიკათ დამარცხებას ულოცავს ჯარს, რომელიც მოქანცულთა შესაცვლელათ მიეჩქარება მოწინავე პოზიციებზე და ერთად ერთი საჩივარი მინისტრის წინაშე აღძრული, ეს იყო საჩივარი იმისა, რომ ზოგიერთი რაზმები გარნიზონის უფროსს თავის დროზე არ გადაუგზავნია პოზიციებზე.

ბ-ნო მინისტრო, ოთხი საათია სადგურზე ვართ, უბრძანეთ მალე გაგვისტუმრონ.

მინისტრი მათ აკმაყოფილებს. იგი ესალმება დაჭრილთ, ამხნევებს. სინჯავს ჯარის საჭმელს, ურიგებს საახალწლო საჩუქრებს. ესენი „ზურგში" დარჩენილთა ალერსის გამოსახვაა.

პირველ საათზე აშაგა-სარალში (შულავერთან) ვართ. საუცხოვო სურათია: ისევ მომლიმარე ჯარისკაცთა და გვარდიელთა წყება, სადგურიდან ახლოს დაბანაკებულ ჯარის სიმღერა, მუსიკა. სამხედრო მინისტრი ამათაც მიესალმება და სიტყვით მიმართავს.

აქედან მინისტრი ბრძოლით აღებულ სადახლოში ქვეითად მიემგზავრება შტაბის თანხლებით.

სადახლოში მისვლისთანავე, მოვიდა ჰქროს მიერ გამოგზავნილი ორთქლმავალი თეთრი ბაირაღით, ორი აფიცრითურთ, რაღაც ქაღალდი მოიტანეს.

განცვიფრებული დარჩნენ, როდესაც ვალ. გოგვაძე დაინახეს და სთქვეს: ჩვენში ცნობილია, რომ გოგვაძე დაფლეთილი დავტოვეთ ბრძოლის ველზე და მისი გამოსვლა გვარდიელებითურთ საზღაპრო ამბავიაო.

მთის ძირში მოხუცი მამები ნაცვაცვალთევე დაკრძალულ შვილთ ეძებენ.

მინისტრი უკან ბრუნდება, ეკატერინოფელდის ფრონტისკენ. დილის ხუთ საათზე 2 იანვარს ისევ სანდარში ვართ.

ხ. უ.

---

### ბორჩალოს ფრონტი.

ეკატერინენფელდი. 26 დეკემბერს რამდენიმე ამხანაგები გვარდიელებთან ერთათ გავემგზავრეთ ეკატერინენფელდისაკენ. ღამე ს. სანდარში გავათიეთ; სადგურის არე-მარე სრულიად დანგრეულია. შარშან იყო აქ ბრძოლა ოსმალეთის „ბანდებთან". ადგილობრივ სომხის სოფლები ერთათ-ერთ იმედს და ხსნას მაშინ ჩვენს გვარდიელებში ხედავდნენ და გვარდიელებიც თავს არ ზოგავდნენ. დღეს სწორეთ ამავე სოფლების დახმარებით არა ერთი და ორი გვარდიელი და აგრეთვე ჯარისკაცი დაეცა ბრძოლის ველზე.

სანდარა მთავარი სადგურია, საიდანაც ბორჩალოს ფრონტი შუაზე იყოფა. რკინის გზის ლიანდაგით 8—9 ვერსზე არის სადგური აშაგა სერალი, საიდანაც იწყება შულავერის ფრონტი და მეორე კი სანდარიდან შარა გზით წასასვლელი არის ნემცების ახალშენი ეკატერინენფელდი, საიდანაც იწყება მეორე ნაწილი ბორჩალოს ფრონტისა.

დაღამებისას სანდარაში ეკატერინენფელდიდან ჩამოიყვანეს ოცდა ათამდე დაჭრილი გვარდიელები, ესენი 25 დეკემბერს დაგედ ხაჩინის აღების დროს დაჭრილები იყვნენ. მიუხედავათ იმისა, რომ ეკატერინენფელდიდან სანდარამდე ოც ვერსამდინ არის და ეს გზა ღამე სიცივეში გამოატარეს ავტომობილებით მძიმეთ დაჭრილები, ისინი მაინც მხნეთ გრძნობდნენ თავს და სულით დაცემა არც ერთს არ ეტყობოდა. ზოგი მათგანი გაიძახოდა: „ორ კვირაში თუ კიდევ სული შერჩათ სომხის ხულიგანებს, იმედი მაქვს, რომ მოვრჩები და ხელმეორეთ მოვუსწრებ კიდევ მათთან ბრძოლასო".

შუაღამისას შულავერის მხრიდან ჩამოიყვანეს სანიტარული მატარებლით დაჭრილები. იმ დღეს დიდი შეტაკება ჰქონდა ჩვენს ჯარს და დაჭრილებიც ბევრი იყო. ჩამოვიარეთ ყველა ვაგონები ამხანაგების დასათვალიერებლათ. აქ იყვნენ სამტრედიელი და ხაშურელი ამხანაგები. მიუხედავათ იმისა, რომ ბევრი მათგანი მძიმეთ იყო დაჭრილი, დაღლილობას და უძილობას მაინც თავისი გაეტანა და ჩასძინებოდათ.

ლაპარაკის დროს ყველა გატაცებით მოგვითხრობდა ბრძოლის ამბავს, გული სწყდებოდათ, რომ უდროოთ მოუხდათ ბრძოლის ველის მიტოვება.

გათენებისას შულავერთან დაიწყო ზარბაზნების გუგუნი, ეს უკვე ნიშანი იყო დილის ბრძოლის დაწყებისა. დილით ადრე სანდარაში ჩამოვიდა ჯავშნიანი მატარებლით ვ. გოგვაძე, რომელმაც დაწვრილებით გვიამბო წინა ღამის ბრძოლის ამბები. მთავარი უბედურება იმაში ყოფილა, რომ მტერს ადრევე ჰქონებია დაკავებული მიუვალი ბუნებრივი სიმაგრეები, მოაღწია გათენებამ თუ არა, საქმიანობაც გაჩაღდა: აგერ სურსათით სავსე თფილისიდან მოსულ მატარებელს სცლიან და ავტომობილებს ტვირთავენ, ფრონტზე გზავნიან, აგერ წინა პოზიციებზე მისაწოდებლათ ყუმბარებით ყუთებს ამზადებენ. გვარდიელები ოხუნჯობენ. მოვიდა თფილისიდან კახელების რაზმი, მათ შორის არის მუნჯი გვარდიელი იარაღ ასხმული, გვარათ რევაზიშვილი. ამხანაგებმა გვიამბეს, რომ ის გერმანიის ფრონტზე ყოფნის დროს დამუნჯებულა. ეხლა, როცა აქეთ მოვდიოდით, ვერაფრის გზით ვერ დავაბრუნეთო.

დილით ადრე გავუდექით ეკატერინენფელდისაკენ. ეკატერინენფელდისაკენ მიემგზავრებოდენ აგრეთვე წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენელნი, მანდილოსნები ქ-ნი გელოვანისა, გვარჯალაძისა და ქავთარაძისა, რომლებიც მიდიოდნენ იმ მიზნით, რომ გზებში მოეწყოთ სასურსათო პუნქტები.

გავიარეთ თათრების სოფლები: აშან ხადუალი, არუხლო და ტაშტი ქულარი. სოფელ

არუხლოში ჩამოივლის მდინარე ხრამი. ამ სოფელთან ხრამზე არის მოზრდილი ხიდი, რომელსაც იცავს ჯარისკაცები და ადგილობრივი თათრები. არუხლო დიდი სოფელია. აქ ჩვენ კარგა ხანს შევისვენეთ. თავი მოიყარა აუარიმბელმა თათრის მცხოვრებლებმა, რომლებიც ხარბათ ათვალიერებდენ პულემიოტსა და სხვა იარაღებს. ეს სოფელი მზათ არის, რითაც საჭირონი იქნებიან, ხელი შეუწყონ ჩვენს ჯარს.

უახლოვდები ეკატერინენფელდს და ხედავ კულტურულ ნამუშევარს. იწყება ვენახის ბაღები, ხეხილები, წყლის არხები სარწყავი და სხვა. ახალშენში შესასვლელთან აქა იქ ჰყრია დახოცილი ცხენები, ფერდობზე მოსჩანს კაცის გვამი, ეს ის ადგილებია, სადაც 19 დეკემბრის ისტორიული ბრძოლა სწარმოებდა. სახლის სახურავები სულ დალეწილია ტყვიისმფრქვეველებისაგან.

ეკატერინენფელდი კარგა მოზრდილი კოლონია არის, სადაც რამდენიმე ათასი კოლონისტი ნემცები სცხოვრობენ. როგორც სჩვევია ნემცებს, განსაკუთრებულის სიკოხტავით არის გაშენებული ეს ადგილი. თითქმის ყველა შენობა ორ-სამ სართულიანია და როგორც შიგ ასევე გარეთაც საუცხოვო სუფთად და ლამაზათ მორთულია. ეს პატარა „კოლონია" ზოგიერთ ჩვენებურ სამაზრო ქალაქებზე ათასჯერ უფრო კარგად არის მოწყობილი ყოველ მხრივ. წყლის შემწეობით აქვთ ელექტრონი, რომლითაც განათებულია სახლებიც და ქუჩებიც. ყოველივე ეს შრომის მოყვარე ნემეცს სულ რაღაც 45 წლის განმავლობაში შეუქმნია, იქვე ახლო მახლო არის თათრის და ქართველთა სოფლები, რომლებიც საუკუნოებით სცხოვრობენ იქ და მიწურ ქოხებს ვერ გაშორებიან. მთელი ეს სოფელი ჩვენი ჯარებითაა სავსე. ნემცებს დაუთმიათ სახლების ქვედა სართულები. მცხოვრებლები სიამოვნებით აღნიშნავენ, რომ ქართველ ჯარისკაცებს საუცხოვო ზრდილობით უჭირავთ თავი და არაფითარ უწესოებას არ სჩადიან და არ აწუხებენ მათ. ნემცებიც მზად არიან ყოველგვარი სამსახური გაუწიონ ჩვენებს. 19 დეკემბერს ბრძოლის დროს ჩვენს დაჭრილებს დახმარება გაუწიეს მათ.

ვიქტორ ნინიძე.

## ფოთში

1 იანვარი.

ამ დღეებში ჩამოვიდა რამოდენიმე ფრანგი კომერსანტი. მოსალოდნელია საქონლის დიდი ტრანსპორტები.

ნოვოროსიისკიდან ჩამოსულები იუწყებიან, რომ იქ მოკავშირეებს ჩაუტანიათ პირველი პარტია სამხედრო მასალისა და, სხვათა შორის. „ტანკები" და „ზუქები"-ც. „ზუქების" ხმარებას ჯერ ერიდებიან, რომ მშვიდობიანი მცხოვრებნი არ დააზარალონ, რაც აუცილებლათ მოხდება თუ ისინი აამოქმედეს.

მოკავშირეთა მისია ყუბანის რადასა და დენიკინის შტაბთან იმყოფება და მერყეობისა და გამორკვევის ხანაში არის. ნიშნებია, რომ მოკავშირენი, შესაძლებელია, მიემხრენ ყუბანის რადას, რომელიც ხალხის დიდ უმრავლესობას ეყრდნობა. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: მოკავშირენი უცდიან, რომელი მიმართულება გაიმარჯვებს უკრაინაში—რესპუბლიკანური თუ მოხალისეთა ჯარი. მოკავშირეების პეტლიურასთან დამოკიდებულებას აქვს დაცდის ხასიათი, თუ პეტლიურას ჯარში ბალშევიზმმა იფეთქა, მოკავშირენი გამოვლენ პეტლიურას წინააღმდეგ, თუ არა—ნეიტრალობას დაიცავენ უკრაინის შინაურ ბრძოლაში ბოლომდის.

ქალაქის სასურსათო განყოფილებამ მიიღო ოდესიდან რამოდენიმე ვაგონი პურის ფქვილი. იქიდანვე მოელიან ამ დღეებში რამოდენიმე ვაგონ ფქვილს, შაქარს და სხვა სანოვაგეს.

გერმანიიდან დაბრუნებული სომეხი სამხედრო ტყვეები, რიცხვით 800 კაცი, რომელნიც ქალაქში ჩამოვიდნენ, ქალაქმა არ მიიღო. სომხები გემითვე გაემგზავრნენ ბათუმში, სადაც დიდი დავიდარაბის შემდეგ მიუღიათ ინგლისელებს.

ქალაქმა მოაწყო თავის ხარჯზე გადამდებ სენით ავათმყოფთათვის ბარაკი 25 საწოლით. საჭიროა ბარაკის გაფართოება, ვინაიდან ავათმყოფებს ვერ იტევს. ტყვეობიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებში სახადით ავათმყოფი ძალიან ბევრია.

ნავთსადგურში სდგას ინგლისელების „ტრაპელი" და ნაღმოსანი „ფორესტი". ხვალ გავა გემი გერმანიის ჯარის უკანასკნელი ეშელონით.

(ს. დ. ს.)

## საქართველოს პარლამენტი

31 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ი. ბარათაშვილი.

მდივანი კითხულობს პარლამენტისადმი დემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობის მიერ მირთმეულ ადრესს, რასაც დეპუტატები სხურვალე ტაშის ცემით ხვდებიან.

პარლამენტმა მიიღო წინა სხდომაზე მიღებულ კანონების საბოლოვო ტექსტი.

კ. ნინიძის მოხსენებით პარლამენტმა მიიღო კანონ პროექტი სამეფო გვარეულობის წევრთა ქონების კონფისკაციისა, რომლის ძალით ყველა ის ადგილები, რომლებიც მდებარეობს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში და ეკუთვნის სამეფო გვარეულობის წევრს, ცხადდება სახელმწიფო ქონებათ.

მ. რუხიას მოხსენებით პარლამენტმა მიიღო კანონ პროექტი სისხლის სამართლის 938 ს მუხლის შევსებისა. ამ კანონპროექტის ძალით 1 მუხლი სისხლის სამართლის წარმოების წესდებისა უნდა შევსებულ იქნას ამ გვარად: უკეთუ იმ საქმეში, რომელსაც დროებითი საგანგებო სასამართლო არჩევს, მოწმე არ გამოცხადდა სამი დღის განმავლობაში, მაშინ სასამართლოს უფლება ეძლევა მოწმე დააჯარიმოს არა უმეტეს ასი მანეთისა, ხოლო მის მოსაყვანად მიიღოს ყოველგვარი ზომები და იძულებით მოიყვანოს.

სხდომა წყდება ნახევარი საათით ფრაქციათა შორის მოსალაპარაკებლად.

**დამოუკიდებელ ნაც.-დემოკ. შეკითხვა.**

გ. ვეშაპელი. ეს შეკითხვა გამოწვეული არის სომხის დიპლომატიური წარმომადგენლის ჯამალიანის მოქმედებით. ჯამალიანი ომის დაწყებამდე აქ ხელს უწყობდა არა მშვიდობიანობას, არამედ საქართველოს და სომხეთ შორის დამოკიდებულების გამწვავებას. ორატორი ეხება ლტოლვილთა საკითხს და ამბობს, რომ ლტოლვილებს განზრახ აწვენდენ გოლოვინის პროსპექტზე, რათა გამვლელ გამომვლელს დაენახა თუ რა შევიწროებულნი არიან საქართველოში სომხები.

ომი გამოცხადდა. ჯამალიანი კი თავისუფლად დასეირნობდა თფილისში უკანასკნელ დღემდი. ეს ეწინააღმდეგება ყოველგვარ საერთაშორისო უფლებას და ომიანობის დროის დებულებას. როცა ომი ცხადდება, მაშინ მეომარ სახელმწიფოთა შორის ყოველგვარი დიპლომატიური კავშირი სწყდება და დიპლომატიურ წარმომადგენლებმა თუ თვითონ ვერ მოასწრეს წასვლა, მაშინ სახელმწიფო მას ძალით გაამგზავრებს თავის სახელმწიფოში. რათ არ იქნა ეს ზომები მიღებული ჯამალიანის შესახებ? მოველი მთავრობის პასუხს.

ნ. რამიშვილი. მოქალაქენო, ხალხის წარმომადგენელნო! დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მართლაც ვერ ვაწარმოებთ იმ პოლიტიკას, რომელსაც ბ. ვეშაპელი ამოიკითხავს ძველი ისტორიიდან. პოლიტიკა დემოკრატიისა და იმ ჯგუფისა, რომელსაც ვეშაპელი წარმოადგენს, ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ამ შეკითხვას ერთნაირი მოჩვენებითი საფუძველი მართლაც ჰქონდა. მაგრამ, როგორც სჩანს, შემკითხველის პარტიას არ სცოდნია საქმის ნამდვილი შინაარსი.

საქმე შემდეგში იყო: სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ჯერ კიდევ ნოემბერში გაემგზავრა ბათუმში და იქ დაჰყო დაახლოვებით სამი კვირა. 20 დეკემბერს ის ჩამოვიდა თფილისში. ეს ის დრო იყო, როცა სომხეთთან ყოველგვარი დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვეტილი იყო. ჩამოსვლისთანავე მთავრობამ მას, ჯამალიანს, ჩააბარა შესაფერი ქაღალდი (რასაკვირველია, წასვლის შესახებ), მან ამის შემდეგ გადასწყვიტა გამგზავრება და 22 დეკემ. მზათ იყო გასამგზავრებლად. 22 დეკ. ჩვენთან გამოცხადდენ ინგლისის წარმომადგენლები და მოისურვეს ჩვენთან (იგულისხმება მთავრობასთან) მოლაპარაკება. მათ იკითხეს არის თუ არა აქ სომხეთის ყოფილი წარმომადგენელიო. ჩვენ უარის თქმა არ შეგვეძლო, რადგანაც აქ იყო ის იმ დროს. მათ მოისურვეს მასთანაც მოლაპარაკება. თუ თქვენ მიიღებთ მხედველობაში საერთო მდგომარეობას, თუ წუთიერ გატაცებას არ ვანაცვალებთ საქართველოს მომავალ ბედს, მაშინ ჩვენ აუცილებლად ნება უნდა დაგვერთო ჯამალიანისათვის, რომ ის დასწრებოდა ამ მოლაპარაკებას. ამიტომ ჯამალიანი დარჩა კიდევ ორ დღეს. შემდეგ კი გაემგზავრა.

ლტოლვილთა საკითხს ამ საკითხთან არავითარი კავშირი არა აქვს. ლტოლვილთა საკითხის შესახებ პარლამენტს ჰქონდა შემთხვევა მოესმინა მთავრობის აზრი და შემდეგშიაც ალბათ მოისმენს. ვეშაპელი და მისი პარტია ასაბუთებდენ, რომ ეს შეკითხვა საჭირო იყო ომის პოლიტიკისთვის. მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ ეს შეკითხვა არა თუ ხელს შეუწყობს ომს, არამედ—ფრონტს დაასუსტებს. (ტაში).

ვეშაპელი უპასუხებს მინისტრს. კამათი შეწყდა. პარლამენტმა მიიღო შემდეგი რეზოლუცია: მოისმინა რა დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატების მთავრობისადმი შეკითხვა ჯამალიანის მოქმედების შესახებ და მთავრობის განმარტება ამ საკითხზე, დაადგინა: პარლამენტი კმაყოფილდება მთავრობის განმარტებით და გადადის მორიგ კითხვაზე.

**სამხედრო მინისტრის განცხადება.**

გრ. გიორგაძის გამოსვლას პარლამენტი ტაშის ცემით ხვდება. თავიდანვე,—ამბობს მინისტრი,—ალყუდა თუ არა ბრძოლა იყო იმის ნიშნები, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს უსამართლობაზე, ეკატერინენფელდთან და ახალქალაქის მიმართულებით ჩვენი ჯარის გამარჯვება ამტკიცებდა, რომ საბოლოვო გამარჯვება დემოკრატიულ ჯარს დარჩებოდა. ორატორი აწერს იმას, თუ როგორ ბიდო ჩვენმა ჯარმა და გვარდიამ შულავერი, სადაც მტერს მოგროვილი ჰყავდა თავისი უმთავრესი ძალა. შულავერის აღების ამბავს პარლამენტი ტაშის ცემით ხვდება.

ჩვენ შურს არ ვძიებთ, ამბობს მინისტრი, ჩვენ ისეთ პოლიტიკას არ ვაწარმოებთ, როგორსაც დაშნაკელები (ტაში). თუ ისეთი სამშვიდობო ზომები გამოიძებნა, რომლებიც ჩვენს მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს ჩვენ ამას ვერ გავექცევით. ამ ომმა დაამტკიცა, რომ ყველა ჩვენს სამინისტროებს ისეთი აპარატი აქვთ, რომ საჭიროების დროს შეუძლიანთ ჯეროვანათ აამუშაონ, სახელმწიფოებრივი ორგანიზმის განმტკიცება—ეს პირველი გამარჯვებაა. მეორე გამარჯვება ჩვენი ის იყო, რომ ჩვენ ჩინებულათ ჩავატარეთ მობილიზაცია, მთავრობის ხმამ ხალხში დიდი გამოძახილი იპოვა. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ მტერზე საბოლოო გამარჯვებასაც მალე ვეგებებით (ტაში).

## გლეხთა ყრილობა ახალციხეში

ახალციხე. 1 იანვარი. (საკუთ. კორესპონ.) გლეხთა ყრილობაზე დასასწრებლათ თფილისიდან ჩამოვიდა მიწათ მოქმედების მინისტრი ხომერიკი. ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა მის ჩამოსვლას და ოვაციები გაუმართა. თვითმართველობის მთელი შემადგენლობა და მცხოვრებლები დროშებით შეხვდნენ მინისტრს და მოქალაქეთა სახელით განუცხადეს სრული თანაგრძნობა მთავრობისადმი, აღუთქვეს ყოველ მხრივათ მხარის დაჭერა ეროვნებათა შორის სოლიდარობის აღსადგენათ, მინისტრმა სიტყვით მიმართა მოქალაქეთ და აღუთქვა მთავრობის ყოველმხრივი დახმარება. აღსანიშნავია, რომ ქალაქის თვითმართველობა და მაზრაში მცხოვრები სომხები არ იზიარებენ დაშნაკელთა პოლიტიკას.

პირველ იანვარს 2 საათზე გაიხსნა ახალციხის მაზრის გლეხთა წარმომადგენლების ყრილობა. დაესწრო 130 დელეგატი. ყრილობა გახსნა ლეო რუხაძემ, რომელმაც მისასალმებელი სიტყვით მიმართა დელეგატებს. თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა გალი ნადირ ალი ოღლი გვარამაძე. მის ამხანაგებათ ლეო რუხაძე და რუსთაბ მუსთაბა ოღლი. ამ დროს ყრილობაზე შემოდის მიწადმოქმედების მინისტრი ხომერიკი, რომელსაც გლეხები ხანგრძლივი ტაშით და „გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას" ძახილით შეხვდნენ. მინისტრმა გრძნობიერი სიტყვით მიმართა ყრილობას და საქართველოს მთავრობის სახელათ აღუთქვა ყველა იმ რეფორმების საჩქაროდ გატარება, რაც მშრომელ გლეხკაცობისათვის დიდათ საჭიროა. მინისტრის სიტყვა მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს. ყრილობას მიესალმა აგრეთვე პარლამენტის სოც.-დემ. ფრაქციის სახელით გრ. ცინცაბაძე; აჭარა ქობულეთის სახელით—აჭარიდან მოსული წარმომადგენლები და ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენელნი. მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ლ. რუხაძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს გლეხებმა ალი კურსუნ ოღლიმ, გიორგი მელიქაძემ, ყადირ ალი-ოღლი გვარამაძემ, მოლა ყოჩა საფალოღლიმ და იბრაგიმ ალი ოღლიმ. ყრილობამ ერთხმათ მიიღო რეზოლუცია, რომელიც საქართველოს მთავრობას ჰპირდება ახალციხის გლეხთა სახელით ყოველ მხრივ დახმარებას დემოკრატიულ რესპუბლიკის განმტკიცებაში და მის წინააღმდეგ მოსულ მტერთა დამარცხების საქმეში. ყრილობა ჰგმობს სომხის ხალხის ხელმძღვანელების, დაშნაკელების, დამღუპველ პოლიტიკას და საქართველოს მთავრობას უსურვებს ომში გამარჯვებას და ომის დასაბოლოვებლათ აღუთქვამს ყოველგვარ დახმარებას, მიწის საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა წერეთელმა, რის შემდეგ ცხარე კამათი გაიმართა და წარმომადგენელთა უმრავლესობამ ამ კამათში მონაწილეობა მიიღო. ამ საკითხში მიწად მოქმედების მინისტრის განცხადებას გლეხთა ყრილობა აღფრთოვანებით შეხვდა. მას სიტყვას ხშირათ აწყვეტინებდენ ტაშის კვრით და ოვაციებით. კამათის შემდეგ ყრილობამ ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „მოისმინა რა ყრილობამ მოხსენება მიწის საკითხის შესახებ და განცხადება მთავრობის წარმომადგენელისა, სიხარულს გამოსთქვამს, რომ მშრომელ გლეხკაცობას ეძლევა თავის ოფლით მორწყული მიწა-წყალი და ბოლო ეღება თავადების და ბეგების ბატონობას. ყრილობა ახალციხის მაზ. გლეხკაცობის სახელით აცხადებს, რომ საქართველოს დემოკ. რესპუბლიკის მთავრობას ყოველმხრივად ხელს შეუწყობს მიწის საკითხის გლეხკაცობის სასარგებლოთ გადაჭრაში და მთელი ძალ-ღონით დაიცავს საქართველოს დამოუკიდებლობას და მის მთავრობას".

ამით დასრულდა ყრილობის პირველი დღე. გაგრძელება დანიშნულია 2 იანვარს. გასარჩევია შემდეგი კითხვები: „სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლების საკითხი"; „ერობა" და „დამფუძნებელი კრების არჩევნები, გლეხთა სამაზრო კოოპერატივის დაარსება და გლეხთა საბჭოს არჩევნები".

(ს. დ. ს.)

გაზ. „ერთობის" რედაქცია და კანტორა
**გადავიდა ახალ ბინაზე**
გოლოვინის პროსპ. სახლი არაფელოვისა, № 24, შუა სართული.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

2 იანვარი.

**გერმანული პრესის ცნობები.**

განახლებული გერმანიის ცენტრალური მთავრობის სამუშაოს განაწილების შესახებ იუწყებიან: შეიდემანი გარეშე საქმეების მართავგამგეობას იკისრებს, ნოსკე—სამხედროს, ვისელი — სოციალურ პოლიტიკურს. აგრეთვე ოფიციალურათ იუწყებიან, რომ მუშაობის განაწილების შეცვლას მხოლოდ საშინაო ხასიათი აქვს და თანამდებობის პირთა გამოცვლა არ მოხდება.

სახალხო რწმუნებულთა საბჭოდან დამოუკიდებელთა გამოსვლა გამოიწვევს ცვლილებას ხელმძღვანელ მმართველ წრეებისა და პრუსიის სამინისტროში, რაც გამოიხატება იმაში, რომ ერთ დიდ მნიშვნელოვან თანამდებობაზე 2 პირს აღარ დანიშნავენ, რადგანაც ასეთი დანიშვნის უხერხულობა აშკარა გახდა.

**ფრანგული პრესის ცნობები.**

სტამბოლიდან დეპეშით ატყობინებენ „პტი-პარიზიენს" ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა დაარსოს განსაკუთრებული სამხედრო საბჭო, რომელიც დასჯის ყველა მოხელეს, ვინც სომხების დახოცვის საქმეში შემჩნეულ იქნება. საუბედუროთ, მოხელეთა უმეტესობა დაიმალა ისე როგორც მათი ბატონები ენვერი, თალაათი და ჯემალი. ძალიან სწუხან, რომ მარშალი ლიმან-ფონ სანდერსი, რომელიც პირველი პასუხისმგებელია სომხების წინააღმდეგ მხეცურ მოქმედებისათვის, უკვე გაიპარა ბერლინში.

## საგარეო საქმ. სამინისტროში

თფილისი. 2 იანვარი. გუშინ ნაშუადღევის პირველ საათზე სასახლეში სადარბაზოთ იყო პარიზისკენ სამშვიდობო კონფერენციაზე მიმავალი სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი მირზა ალი-გული ხან მუშა ვირილმამალიკი. სტუმარი მიიღო ე. გეგეჭკორმა, რომელთან მუსაიფის დროს ბ-ნმა მინისტრმა მადლობა განაცხადა იმ პატივისცემისთვის, რაიც აღმოუჩინეს საქართველოში.—მართალია, ახლა რამოდენიმე საათით მიხდება თფილისში გაჩერება, მაგრამ იმედი მაქვს, უკან დაბრუნების დროს ერთად ვიდღესასწაულებთ საქართველოს სახელმწიფოებრივობის განმტკიცებასო, განაცხადა სტუმარმა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მოლაპარაკება აქვს გამართული ბრიტანიის სამხედრო წარმომადგენელთან თფილისსა და ბათუმს შორის რკინის გზის და ფოსტა ტელეგრაფის პირდაპირი კავშირის აღდგენის შესახებ (ს.დ.ს.)

## ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება ს. დ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა (გოლოვინის პრ., სახლი № 24)

✦ დღეს, საღამოს 4 საათზე დანიშნულია პირველ რაიონას კოლექტივის საწრაფო კრება.

✦ **საახალწლო მილოცვა**: პარლამენტის თავმჯდომარეს ნ. ს. ჩხეიძეს: „მე და ჯარი გილოცავთ თქვენ, როგორც პარლამენტის თავმჯდომარეს, ახალ წელიწადს და გისურვებთ კარგად ყოფნას სამშობლოს საკეთილდღეოთ. გენერალი მაზნიაშვილი.

ნ. ს. ჩხეიძის პასუხი: გენერალ მაზნიაშვილს. საქართველოს პარლამენტის სახელით გულწრფელ მადლობას გიძღვნით თქვენ და საქართველოს ჯარს. გილოცავთ ახალ წელს, რომელსაც ვეგებებით ჩვენი ს ხელოვანი ჯარის წყალობით". საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ჩხეიძე.

✦ **მამულების ყიდვა-გაყიდვის აღკრძალვა.** იუსტიციის სამინისტრომ წინადადება მისცა თფილისის სასამართლო პალატის უფროსს თავმჯდომარეს რათა დროებით, ცალკე განკარგულებამდე, შეჩერებულ იქნას ნოტარიუსების კანტორებში ისეთი აქტების შედგენა, რომლითაც გადაიცემა სხვაზე ან შეიზღუდება უფლებანი უძრავ ქონებაზე და რაც შეეხება ბანკში დაცულ ფულს, ძვირფასს ნივთებს და ფასიან ქაღალდებს. აკრძალულია აგრეთვე დამტკიცება უფროს ნოტარიუსების მიერ იმ აქტებისა, რომლებიც შედგენილია დეკემბრის 9-ის აქეთ.

✦ **აზერბეიჯანის** პარლამენტმა უარჰყო რუსთა ეროვნული საბჭოს წინადადება, რომ იგი ჩაეთვალათ რუსეთის წარმომადგენელ დაწესებულებათ პარლამენტში.

✦ **გაზეთები ფრონტზე.** მთავარი სახელოსნოს სადურგლო ცეხის მუშებმა ერთი თვით 2 ცალი „ერთობა" გაუწერა ჯარისკაცებს ფრონტზე.

✦ **ჯარისათვის ხაჩუქრების** დამზადებას კისრულობს ფასად საკუთარი საწყობებიდან როგორც კერძო პირთა, აგრეთვე საქველმოქმედო საზოგადოებათა შინდობილობით ქალთა კავშირი.

✦ **მომრიგებელი კამერა.** დღეს, 3 იანვარს საღამოს 6 ნახევარ საათზე შესდგება პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და მომრიგებელ კამერის კანდიდატ წევრთა კრება მუშებისაგან კამერის წევრთა ასარჩევათ.

✦ **კალენდარი 1919 წლისათვის.** რედაქციამ მიიღო ამხ. „გლობუსი"-ს გამოცემული: 1) უბის წიგნი-კალენდარი და 2) დემოკრატიული კალენდარი. პირველი შეიცავს ზოგიერთ გამოსადეგ ცნობებს, ხოლო მეორეში ჩვეულებრივ კალენდარულ ცნობებს გარდა მოთავსებულია სურათები ზოგიერთ ქართველ მოღვაწეებისა და რამდენიმე საზოგადო ხასიათის წერილი. ორივე კალენდარი სუფთადაა გამოცემული, თუმცა დაბალ ღირსების ქაღალდზე და ღირს: პირველი 5 მან., ხოლო მეორე 3 მან. 50 კაპ.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

შაბათს, 4 იანვარს, საღ. 5 საათზე, მეოთხე რაიონულ კოლექტივის ახალ ბინაზე (ოლღას ქ. № 29) დანიშნულია პირველი სამილიციო უბნის ს. ს.-დ. მუშათა პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა საზოგადო კრება.

— დღეს, საღამოს 4 საათზე ს. ს.-დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის ბინაზე დანიშნულია ამავე რაიონის წევრთა საზოგადო კრება.

## ლეონტი მეტრეველი

დაშნაკელების მუხთალმა თავდასხმამ უკვე მრავალი მსხვერპლი შეიწირა. ერთი ასეთი მსხვერპლთაგანია ამხ. ლეონტი მეტრეველი—ჩუმი, წყნარი, თავდადებული მუშაკი. ის ერთი უსწავლელი შორაპნელი გლეხის შვილი იყო, მაგრამ მუშათა წრემ ძლიერი გავლენა მოახდინა მასზე განსაკუთრებით იმის შემდეგ, როცა 1903 წლის მკათათვეში მრავალი მუშა იქნა დახოცილი ხაშურში გაფიცვის დროს. ამ წლიდან ლეონტი არ მოშორებია მუშათა კლასს და მის პარტიას—სოციალდემოკრატიას. ის ერთნაირის თავგამოდებით მუშაობდა სოც.-დემ. ორგანიზაციაში, როგორც შავ-ბნელ რეაქციის ხანაში, ისე რევოლიუციის შემდეგ და საუკეთესო ორგანიზატორი იყო. შარშან ზაფხულში, როცა ხაშურის მუშებმა შექმნეს გვარდია, ამხ. ლეონტი ამ საქმის ერთი მოთავეთაგანი იყო და საკვირველის ხალისით შეუდგა ვარჯიშობას, როგორც გვარდიის ერთი უბრალო წევრი. ის წევრი იყო აგრეთვე სოც.-დემოკრ. კომიტეტის და სხვა პარტიულ და კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებების.

როცა სომხეთმა ომი გამოუცხადა საქართველოს, ამხ. ლეონტი [illegible] რა ბრძოლის [illegible] რაძესთან ერ[illegible] ბერს.

ხაშურის [illegible] ლეონტის და მის უპატრონოდ დარჩენილ ოჯახს, ხოლო სხვებისთვისაც, ვისაც ლეონტისთან ოდესმე რაიმე საქმე ჰქონია, სამაგალითოდ დარჩება მისი პიროვნება, როგორც უანგარო, თავდადებულ და ჩუმ პარტიულ მუშაკისა.

ძ.

## სურსათი ჯარს!

**მოწოდება საქართველოს მოქალაქეთ.**

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის, სამშობლოს კეთილდღეობისთვის, ნაყოფიერ მუშაობას მუხანათურად შეუშალა ხელი არარატის მთავრობამ. იმ დროს, როცა ქვეყანა სამშვიდობო კონფერენციისთვის ემზადება და ზავს შეჰნატრის, საქართველოს ომის წარმოება უხდება ძმადურ სომხის ხალხთან.

რადგან ჯარის გამოკვების საქმე გაზაფხულზე და ზაფხულში ყოფილ ანარქიის გამო

ისედაც გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ეხლა, როცა მტერი თფილისში შემოსვლას ჰლამობს და მის უკუსაქცევად საჭიროა ჯარის რიცხვის ერთიანად გადიდება, მთავრობას ეჭირვება ხალხის დახმარება, რომ მებრძოლთ სურსათ სანოვაგე არ მოაკლდეს. საადმინისტრაციო განყოფილება, ბრძანებისამებრ რესპუბლიკის სამხედრო მინისტრისა აუწყებს რა ამას რესპუბლიკის მცხოვრებლებს, იმედი აქვს, რომ ყოველი მამულიშვილი აღმოუჩენს დახმარებას სურსათ-სანოვაგის მაწოდებით ომის ასპარეზზე მებრძოლ თავისავე შვილებს, და თვითეულმა სოფლის საზოგადოებამ იკისროს ხორბლის, ქერის, პურის, ლობიოს, მუხუდოს, თივის და ბზის შეგროვება მეომართა საჭიროებისთვის, მოუყაროს ერთად თავი ამ გზით მოგროვილ სურსათ სანოვაგეს და ვიდრე მას საქართველოს რკინის გზის რომელიმე სადგურზე ჩამოიტანდეს, აცნობოს სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილებას დეპეშით სადგურის სახელი, სურსათის რაოდენობა და დრო მისი სადგურზე მიტანისა. ადრესი: თბილისი, საადმინისტრაციო განყოფილება.

საადმინისტრაციო განყოფილება დაუყოვნებლივ გაგზავნის ნაჩვენებ დროისთვის თავის წარმომადგენელს, რომელიც მიითვლის წონით ყოველგვარ სურსათს და ნაღდათ გაუსწორდებიან საზოგადოებას შემდეგი ანგარიშით: ყოველ ფუთ ხორბალში მისცემს 100 მან., ქერში 80 მან., სიმინდში თფილისის გუბერნიაში 40 მან., ქუთაისის გუბერნიაში 30 მან. ლობიოში თფილისის გუბერნიაში 45 მან. ქუთაისის გუბერნიაში 35 მან., მუხუდოში 45 მან., თივა დაქნეულში 15 მან., ბზე 10 მან., ტომრები დაუბრუნდებათ პატრონს, ან გადაეცვლებათ სახაზინო ტომრებზე.

თქმა არ უნდა, რომ ჩვენი გამარჯვება და მტრის დამარცხება ჩვენზედვე არის დამოკიდებული და ერთი უმთავრესი საშუალება გამარჯვებისა ჯარის სურსათის საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება არის.

მაშ, დაუზარებლივ შეუდექით საქმეს, საქართველოს მოქალაქენო და ხელი შეუწყეთ საკუთარ შვილების პურით უზრუნველყოფას და დამღუპველ ომის მალე გათავებას.

საადმინისტრაციო განყოფილების უფროსი
გენერალ-მაიორი უიფშიძე.

## ჩვენი ჯარისათვის

საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტში შემოვიდა შემოწირულება ნივთებით:

მახვილ გრიგოლის ძე სესიაშვილისაგან 50 ნახევარი ბოთლი კონიაკი, თამარ მეფის სახელობის სემინარიის მოწაფეთაგან საჩუქრები ჯარისკაცთ 60 პარკი:—ხმელი ხილი, ჩურჩხელა, წუმწუმა, შაქარი, პაპიროსი, ჩაი, თამბაქო, გაზეთები და სხვა., თამარ მეფის სახელობის ქალთა სემინარიის მოწაფისაგან ორი შპრიცი., 1 ლ სავაჟო გიმნაზიის მოწაფეთაგან 14 პარკი:—1 პაჩკა წუმწუმა, 14 პაჩკა პაპიროსი და თამბაქო, 17 კოლოფი წუმწუმა, 5 ნაჭერი სარეცხის საპონი, 4 ნაჭერი პაპიროსის ქაღალდი., გრიშა და შალვა რატიანებისაგან 4 წყვილი პარტიანკა, ათი გირვანქა ჩაი, ასი პაპიროსი, 12 ცალი თამბაქოს ქაღალდი, 19 წყვილი წინდა, 2 დუჟინი ხელის საპონი, 5 დუჟინი ფანქარი, 4 პაჩკა ფოსტის ქაღალდი, 8 ცალი კონვერტი, 4 მოლ. ლილი, ორი კაროპკა დუგმა, 10 ცალი პირსახოცი., I ვაჟთა გიმნაზიის მოწაფეთაგან: 98 კოლ. წუმწუმა, 120 შეკვრა პაპიროსი, 5 შეკვრა წუმწუმა, 5 ხის კოვზი, სამი წინდა, სამი შეკვრა თამბაქო, 1 შეკვრა კალამი, 30 ამოკერილი პარკი, ნახევარი გირვანქა ჩაი, 2 პარკი შაქარი, 3 პარკი ჩაი, 13 დიდი ნაჭერი საპონი, 13 პატარა ნაჭერი საპონი, 1 კოლოფი კონსერვი, 1 კოლოფი ყავა, 1 ბოთლი ღვინო, 1 შეკვრა ქაღალდი, კონვერტი, ღია ბარათი და ოთხი ფანქარი; მე-VI ქალთა გიმნაზიისაგან 30 პარკი სხვადასხვა საჩუქარი; ქალთა II გიმნაზიისაგან: 8 შეკვრა პაპიროსი, 40 კოლოფი წუმწუმა, 7 ნაჭერი საპონი, 20 დიდი პარკი საჩუქრები, 2 გირვანქა ფქვილი, ქაღალდი, კონვერტი, კალმები და სხ.; ქ. ხიზანაშვილისაგან 1 გირ. საპ., 1 კოლ. წუმწუმა; ბარბარე მაყაშვილისაგან 2 გირ. თუთუნი, 9 შეკვრა პაპიროსი; ფ. ხ—საგან ერთი შეკვრა წუმწუმა, შაქარი და ჩაი; ქ. იოსავასაგან 1 შეკვრა წუმწუმა, 1 გირ. ყავა; შოთა ლომაძისაგან 1 მაკრატელი, 2 დანა, 6 ფანქარი, 12 ხის კოვზი, 2 მურგი დიდი კედი, 1 კონა წვრილი კედი, 9 კოლოფი ასანთი, 10 კეცი თეთრი საწერი ქაღალდი, 1 შეკვრა ფოსტის ქაღალდი, 100 ცალი კონვერტი; ქ. სულიკაშვილისაგან 1 შეკვრა წუმწუმა, 5 კოლოფი პაპიროსი, 1 შეკვრა მახორკა; ხაშურის ქალაქის თვითმართველობასთან არსებულ „ფრონტის დამხმარე კომიტეტისაგან 26 გირ. ყველი, 10 გირ. საპონი, 2 და სამი მეოთხედი გირ. ჩაი, 2 ფუთი და 5 გირ. პური, 25½ ძეხვი, 5 კოლოფი კონსერვი, გირვანქა ნახევარი ყავა, 1 გირ. ქონი, 2 ცალი თევზი, 6 გირ. ბრინჯი, 34 გირ. მჭადის ფქვილი, 3 ცალი ხელის საპონი, 2 ტილოს ტომარა; ხაშურის რკინის გზის მილიციისაგან 4 გირ. ჩაი, 44 ცალი სანთელი, 3 გირ. დაჭრილი თამბაქო, ნახევარი ფუთი დაუჭრელი თამბაქო, 2 წყვილი თბილი ფეხსაცმელი, 150 ცალი კონვერტი და ქაღალდი, 7 ცალი ჩაბალახი, 2 ცალი წყლის ჭურჭელი, 50 არშინი ბინტი, 4 ცალი ფუფაიკა, 8 ცალი საცვალი, 310 ცალი წუმწუმა, 33 შეკვრა პირველი ხარისხის თამბაქო, 376 შეკვრა მესამე ხარისხის თამბაქო, 88 შეკვრა პაპიროსი, 15 შეკვრა მახორკა, 3 ცალი ხელის საპონი, 8 შეკვრა ჩაი; ნინო აბაიშვილისგან 6 შეკვრა პაპიროსი, 10 შეკვრა წუმწუმა; ვაჟთა მეორე გიმნაზიისაგან 82 პარკი; ქალთა მეშვიდე გიმნაზიისაგან 134 კოლოფი წუმწუმა, 17 შეკვრა თამბაქო, პაპიროსი, რამდენიმე ცალი ქაღალდი და კონვერტი, 6 ნაჭერი საპონი, 14 ცალი ფანქარი, 8 ცალი ჩურჩხელა, 6 ფურცელი კომპრესის ქაღალდი, 4 კოჭი და 6 ხვევა ძაფი, 12 შეკვრა ჩაი, რამდენიმე გირვანქა ჩირი, ნიგოზი, თხილი, ერთი ბოთლი ღვინო, ერთი ფაფახი, ერთი ნარმის პერანგი, 80 შეკვრა თუთუნის ქაღალდი, 2 წყვილი თბილი ხელთათმანი, 1 წყვილი წინდა, ბამბა, მარლა და ლილები.

## დაჭრილი მხედრები

სანაინადან ჩამოიყვანეს დაჭრილი შემდეგი გვარდიელები: აბაზაშვილი ზაქარია, ვასაძე სევასტიანი, შერვაშიძე ნიკოლოზი, ცომაკურიძე იულიან, ალხაზაშვილი კირილე, იორამოვი სარქის, ლეჟავა შალვა, იორამაშვილი ალექსანდრე, შალამბერიძე ალექსანდრე, ტერ-აზაროვი არშაკ, შენგელია არტემ, ბოცვაძე გიორგი, მგებარიშვილი დავით, ბარდაძე დავით, ბეჟიტაშვილი ვასილი, კაჩიაშვილი ბედია, მუნდირიშვილი ალექსანდრე, ჯირაშვილი მიხეილ, ილურიძე ალექსანდრე, უხოვი მიხეილი, გვარდაუჯალაძე ალექსანდრე, კეცხოველი ნიკოლოზ, რამიშვილი დავით, გონელიშვილი სოლომონი, ხოპერია ტრიფონი, გომელაური მიხეილი, საბაშვილი ამბროსი, ვარდანაშვილი გრიგოლი, კურცივიძე ალექსანდრე, ივაკინ ივანე, დიდებულიძე დავითი.

უფროსი ექიმი მშველიძე.

## პროვინცია

თელავი. 28 დეკემბერს შესდგა მუშათა დეპუტატების საბჭოს კრება. დაესწრო ბევრი გარეშე საზოგადოებაც. მომხსენებელმა, ბ. ჭუმბურიძემ, განუმარტა დამსწრეთ დღევანდელი მომენტი. მან აღნიშნა სომხეთის მთავრობის—დაშნაკელების—მუხანათური პოლიტიკა და ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ ყოველი ღონე იხმარა არ მომხდარიყო ორ მეზობელ მოძმეთა შორის სისხლის ღვრა.

აღსანიშნავია, რომ თელავის ნაციონალისტებმა თავისი ქცევით გამოიჩინეს თავი. სანამ მომხსენებლისაგან რეზოლიუცია იქნებოდა წარმოდგენილი, ყველა სდუმდა, კრინტი არ დაუძრავთ. მაგრამ რეზოლიუციის იმ ადგილში, სადაც იყო ნათქვამი: „საბჭო მოუწოდებს ყველა მოქალაქეს—განურჩევლად ეროვნებისა აქტიური დახმარება გაუწიოს ჩვენს მთავრობას"—იპოვეს ნაკლი. განურჩევლად ეროვნებისა—ეს მოხვდა გულში ნაციონალისტებს და აბა რისი ნაციონალისტებია, თუ განდევნაზე, გათაშვაზე არ ილაპარაკებენ. —განიდევნოს სომხები—განიდევნოს—ყვიროდნენ ნაციონალისტები.—არც ერთი სომეხი არ უნდა დარჩეს აქ, ამბობდნენ ისინი. უნდა მოვაგონოთ ნაციონალისტებს, რომ, თუ ჩვენ საქართველოს ტერიტორიას შერჩა რევოლიუციის მონაპოვარი—ეს მხოლოდ უნდა მიეწეროს იმას, რომ ჩვენმა ხალხმა აირჩია ერთა სოლიდარობის გზა. ჩვენ გვმართებს თავდაჭერილობა, სიდინჯე ამ საპასუხისმგებლო დროს.

ვარლამი.

## ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. 26 დეკემბერს შესდგა მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება. განხილულ იქნა შემდეგი კითხვები: 1) საქართველო სომხეთის ომი, 2) ქალაქის არჩევნები და ჩვენი სამზადისი.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ლ. ნათაძემ.

მოხსენების შემდეგ მომხსენებელს მისცეს რამოდენიმე შეკითხვა, რაზედაც მომხსენებელმა პასუხი გასცა.

მეორე კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. რ. ჩიხლაძე. ის არკვევს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქალაქის არჩევნებს და ამბობს, რომ თფილისში გამარჯვება, ეს საქართველოს ყველა ქალაქების გამარჯვებას უდრის და ამისათვის ყოველივე ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ არჩევნები ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდეს და მტერთ არ ჩაუვარდეს ქალაქი ხელში. ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს იმ დახმარებას, რომელიც ჩვენ შეუძლია გაგვიწიოს ახალგაზრდა მარქსისტთა და ქალთა ორგანიზაციებმა და მოუწოდებს ამ ორგანიზაციებს მთელი თავიანთი აზრები აამოქმედონ ამ მიზნისთვის. შემდეგ იძლევა წინადადებას, რომ ეხლავე საქმეს მოვკიდოთ ხელი, საჭიროა ეხლა, აი ამ კრებაზედვე გამომუშავებულ იქნეს რამე პრაქტიკული ზომები. ამხ. უ. ელიავა იძლევა წინადადებას ამ კრებაზედვე არჩეულ იქნენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც მოუწოდებენ ჩვენი პარტიის წევრთ, თუ თანამგრძნობთ, არც ერთი არ გამორჩეს სიიდან და თვალ-ყურს ადევნებს აღწერის წესიერათ წარმოებას. რადგანაც სხვა და სხვა უბნისთვის რამოდენიმე კომისიაა საჭირო, ამისათვის ის ჰყოფს რაიონებს უბნებათ.

კრება ღებულობს წინადადებას და გადადის არჩევნებზე. ამ დროს ქალთა ორგანიზაციის სახელით ამხ. თ. ნიკოგოსოვისა აცხადებს, რომ ისინი მთელი თავისი ენერგიით ხელს შეუწყობენ ჩვენი პარტიის გამარჯვებას. ახალგაზრდა მარქსისტებიდან, სამწუხაროთ, კრებაზე არავინ აღმოჩნდა.

კრებამ რაიონი დაჰყო ოთხ უბნათ, სადაც არჩეულ იქნენ ხუთი პირის მიერ შემდგარი ცალკე კომისიები ფართე კოოპტაციის უფლებით, რომელშიაც არჩეულ იქნენ შემდეგი პირნი: 1) საბურთალოში ამხ. რ. ჩიხლაძე და ი. აგაქოვი, რათა მოიწვიონ იქ საზოგადო კრება და აირჩიონ საარჩევნო კომისია, 2) 1 სამილიციო უბანი—ირ. რამიშვილი, უ. ელიავა, ნ. კიკნაძე, ი. მესხი, ჯიაძე და ფ. ჩიხლაძისა. 3) 2 სამ. უბანი—ი. ომანიძე, შალიკიანი, კაიტაჯიანი და ალ. ეგიაზაროვის ქალი. 4) 3 უბანი—თ. ტერ-ნიკოგოსოვისა, ელ. ხუციშვილი, ივ. ხმალაძე, ვ. მელიქოვა, ვ. ტაბუაშვილი და ე. მახვილაძე.

დასასრულ ამხ. უ. ელიავა აცხადებს, რომ ხვალიდან იწყება იმ პირთა ჩაწერა, ვისაც სურს გვარდიელებისა და ჯარის ნაცვლათ, რომელნიც ფრონტზე მიემგზავრებიან ქალაქში წესრიგის დასაცავათ მონაწილეობა მიიღონ და მოუწოდებს დამსწრეთ ყველამ ჩაეწერონ და მით ხელი შეუწყონ ქალაქში სრული წესრიგის დაცვას.

ხპარტაკი.


## განცხადებანი

გახსნილია
**კერძო სამკურნალო**
მუდმივი საწოლებით.
მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.
მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914" და „606" შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

**ექიმი მ. ა. შაფრანი.**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექიმი
**პ. ტ. ლორთქიფანიძე**
(ბაქოდან)
მიიღებს შინაგან სნეულებისა და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე.
ნაზარევის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19.

**ექიმი ლ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 [illegible] ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სნ. ბავშვთა, [illegible] და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმონოვის აფთიაქის გვერდით.

რენტგენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე
**დოქტორ ა. მ. ლევენშტეინისა.**
რენტგენო-ფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა. სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭაჭების ავადმყოფობისა. ელექტრო მკურნალობა და [illegible] ტერაპია. მიღება დილის 10 ნახ.—1 საათ. და საღ. 4—7 საათ. მისამართი: კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3.

ექიმი ნიკოლოზ იოანეს ძე
**მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებით) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, [illegible] აფთიაქის ახლოს.

კბილის სამკურნალო კაბინეტი
**თედორე სამუარაშვილის ძე ცხომელიძისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—85.

**მკ. ქალი რ. ა. შიშლო-სამავშილი**
მედიცინის დოქტორი [illegible] ყოველდღე შინაგან, [illegible] და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა [illegible]. [illegible] დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

ექიმი
**ა. ნ. შატილოვი**
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლოს).

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
**ექიმი დონხინისა**
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების ღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლოს) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—[illegible]

ექიმი
**კეკელია**
იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ. ტელ. 14—28.

რენტგენის და ელექტრ. სამკურნ. კაბინეტი
მედიცინის დოქტორის
**გ. მერაბოვისა**
(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა) მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულისა, კუჭისა და ჭაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. [illegible] რიგს გარეშე იღებს. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.
საწყლებს უფასოდ.

**სახელმწიფო თეატრი** „კავშირის" დასი.
წარ. № 8. პარასკევს, 3 იანვარს წარ. №
წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ლეო ქიაჩელის რომანის ილიუსტრაცია
**ტარიელ გოლუა**
12 სურ. 1905 წლ. მოძრაობიდან
წარმოდგენას თ ნ ახლდება წამკითხველი მთლიან შთაბეჭდილების დასაცავად.
პიესა წარმოდგენილი იქნება განმარტივებულის დეკორაციებით.
რეჟისორი შალვა დადიანი. მორიგი წარმომადგენელი ალ. გაჩეჩილაძე
დასაწყისი საღამოს 7 საათზე. მსახიობთა კავშირის დირექცია.
მზადდება: ანტიგონე, მწირი სარდალი.

გამოვიდა და იყიდება ინჟ. მ. ძაძამიძის წიგნი
**მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში**
(2—1)

═ **მოითხოვეთ ყველგან** ═
ნახშირ მჟავიან ნაცარ წმულიანი წყალი
— **ბორჯომი** —
ერთად ერთი წარმომადგენელი მიწად მოქმედების სამინისტროსი.
მთავარი საწყობი ბორჯომში.
თფილისში. კანტორა დროებით მოთავსებულია თამამშევის ქარვასლაში „კახეთის" ღვინის კანტორასთან. იყიდება ბითუმათ და წვრილათ.
ქუთაისში. საკუთარი სავაჭრო ვორონცოვის ქუჩაზე.
სამტრედიაში. წარმომადგენელ მიხეილ ბახტაძესთან.
ფოთში. ივ. კოჰახიძესთან. ლიალინის ქუჩა.
ყვირილაში. ალექსანდრე ჯალაღანიასთან.
პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე.
პატივისცემით დ. ე. ქებაძე.

**საარჩევნო კომისია**
და მცირე კოლექტივი მესამე სამილიციო უბნისა სოც. დემ. მუშათა პარტიის მოთავსებულ ჟუკოვსკის ქ. № 9 (პროფესიონალური სკოლა) ყოველ დღიური მორიგეობა დილის 12—2 და საღ. 5—7 ს., იქვე შეიძლება პარტიის წევრებად ჩაწერა და იყიდება პარტიული ლიტერატურა.

**საარჩევნო კომისია**
მოუწოდებს ყველა მოქალაქეთ მესამე სამილიციო უბნისას მობრძანდნენ საერთო კრებაზე [illegible] იანვარს 1919 წ. (ახალ სტილზე) საღამოს 6 საათზე სოც. დემ. პარტიის მცირე კოლექტივის ბინაზე (ჟუკოვსკის ქ. № 9, პროფესიონალური სკოლა).
დღის წესრიგი: 1) არჩევნები თბილისის თვითმართველობაში, 2) მიმდინარე მომენტი.

**განცხადება**
თფილისის მცხოვრებელ რაჭა-ლეჩხუმ-სვანელთა თფილისის დამცველი რაზმის შტაბი სამმართველო იმყოფება მადათოვის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის ბოლოზე, მარტიროსოვის სახლის ეზოში № 5. სამმართველო ღია არის მთელი დღე სადაც შეიძლება რაზმში [illegible]რად ჩაწერა და შტაბთან მოლაპარაკება. (3—3)

იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილება
ამით აცხადებს, რომ 1919 წლის 1 იანვრიდან იგი გამოსცემს კვირაში ერთხელ
**კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულს.**
კრებული ოფიციალური გამოცემაა და შიგ მოთავსებული იქნება ყველა კანონი, მთავრობის განკარგულებანი ზოგადი ხასიათისა და მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდებანი.
საქართველოს პარლამენტის მიერ ამა 1918 წლის 11 ოქტომბრის „კანონთა გამოქვეყნების" კანონით, ყოველი კანონი ძალაში შედის შვიდის დღის შემდეგ „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულში" გამოქვეყნებიდან.
წესდებანი სხვადასხვა სამრეწველო, სავაჭრო და საკრედიტო დაწესებულებებისა დაიბეჭდება „კანონთა კრებულის" მეორე ნაწილში ცალკე მორიგეობითა და საფასურით.
წლის ბოლოს კრებულს დაერთვის სამნაირი ვრცელი საძიებელი: ანბანზე დაწყობილი, საგნობრივი, ქრონოლოგიური და სისტემატიური.
„კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული" ღირს წლიურად მთავრობის დაწესებულებათა და მოხელეთათვის 30 მ., კერძო ხელის მომწერთათვის 40 მ. თფილისში, ხოლო პროვინციაში გაგზავნით 50 მ.
თითო ნომერი კრებულისა ცალკე იქნება შეფასებული.
ამა 1918 წლის 26 მაისიდან 1919 წლის 1-ლ იანვრამდე გამოცემული კანონები [illegible] იბეჭდება და სარჩევით ცალკე წიგნად იქნება გამოცემული.
ხელის მოწერა მიიღება იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილებაში, რომლის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს ფული საქართველოს სხვადასხვა ადგილებიდან.
მისამართი: იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილება თფილისში, სამართლის დაწესებულებათა შენობაში. (3—3)


[illegible] სტამბა [illegible], [illegible] № 1.